ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №39, აგვისტო, 2017 წელი

სოხუმი, მხატვარი ზურაბ ჯედია

ლევან ღვინჯილია: აფხაზურ კულტურას აფხაზური სიმღერებითა და ცეკვებით ვეხმიანებით

გვ. 3

მიხეილ შარვაშიძე - უნატიფეს ქალთა რჩეული

გვ. 6

ლერი ჭანტურია: მხატვრობა - ფერთა სიჩუმეა, დუმილის საიდუმლო

გვ. 8

სივრცეში, სადაც საინტერესო იდეები თავს კარგად გრძნობს

გვ. 11

ვახტანგ ყოლბაია:

ახალგაზრდები აფხაზეთის პრობლემატიკას კარგად უნდა იცნობდნენ

საკუთარი ინფორმაცია

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის წლევანდელი სტიპენდიანტები გამოვლინდნენ. სტიპენდიები, აფხაზეთის პრობლემატიკის პოპულარიზაციის მიზნით, 2016 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას ინიციატივით დაწესდა.

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები გამიზნულია პოლიტიკის მეცნიერების დარგის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებიც განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევიან და აფხაზეთის თემატიკაზე მუშაობენ. მათ ასევე მოეთხოვებათ მაღალი აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და საზოგადოებრივი აქტიურობა.

სტიპენდიის ოდენობა მაგისტრატურის სტუდენტისათვის შეადგენს თვეში 150 ლარს, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში - 100/150 ლარს. სტიპენდიები მიეცემათ დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ უკვე შეაჯამა ამ სტიპენდიების მისაღებად შემოსული წლევანდელი წარდგინებები და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია მიანიჭა სტუდენტებს: **დავით დოლიძეს** - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის ჟურნალისტიკის მე-3 კურსის სტუდენტს და **თამარ ბარამიას** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტს; დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სტიპენდია კი მიანიჭა **თამარ ჩითინაშვილს** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მე-4 სემესტრის სტუდენტს და **თეონა მჭედლიშვილს** - კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს.

საგულისხმოა, რომ სტუდენტებმა საინტერესო CV-ებთან ერთად აფხაზეთის პრობლემატიკაზე კვალიფიციურად შესრულებული ნაშრომები წარმოადგინეს, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო სტიპენდიების დაწესების მნიშვნელობა.

ვახტანგ ყოლბაიამ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის წლევანდელ სტიპენდიანტებს კონკურსში გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა: „ქართველი ახალგაზრდები კარგად უნდა იცნობდნენ აფხაზეთის პრობლემატიკას, ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს სატკივარს, რომელიც გლობალური პოლიტიკის ნაწილიცაა. მათ ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ აფხაზეთის ისტორიაზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, გარდა ამისა, საკუთარი ხედვა უნდა გააჩნდეთ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გზებზე. არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი და ჟიული შარტავა - ის აფხაზი და ქართველი მამულიშვილები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა დროსა და ეპოქაში საქართველოს მთლიანობისთვის, ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის იბრძოდნენ. ეს იგივე სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გამოხატულებაა, რაც ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ეხმიანება. ამდენად, არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში ამ სტიპენდიების მოპოვების მსურველთა შორის აფხაზი ახალგაზრდებიც ვიხილოთ“.

„ცოდნა-აღმაშენებელი" სოხუმის უნივერსიტეტის ახალი ლოგო გახდება

საკუთარი ინფორმაცია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს - ზურაბ ხონელიძე, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ამ დღეებში მას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა ჯონი აფაქიძემ უფლებამოსილება ოფიციალურად გადასცა.

შეხვედრას დაესწრნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია,** აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა,** გენერალი **გია გულუა,** ჟურნალისტი **ნუგზარ რუხაძე,** მწერალი **გურამ ოდიშარია,** რომლებმაც მისასალმებელი სიტყვებიც წარმოთქვეს.

უნივერსიტეტს ეწვია გორისა და ატენის მიტროპოლიტი, **მეუფე ანდრია გვაზავა,** რომელმაც უნივერსიტეტის ახალი რექტორი დალოცა, სიმხნევე და წარმატებები უსურვა და საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა.

რექტორის პირველი დღე სამსახურის უფროსებთან და ფაკულტეტების დეკანებთან შეხვედრით დაიწყო.

მან ასევე დიდი მადლობა გადაუხადა ჯონი აფაქიძეს, აკადემიურ საბჭოს, არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს და აღნიშნა, რომ ის ღირსეული უნივერსიტეტის ღირსეული რექტორი იქნება.

„მე მინდა ეს პერიოდი უნივერსიტეტისთვის ახალი ერის დასაწყისი იყოს. უნდა შევინარჩუნოთ ყველაფერი კარგი და ვიაროთ ევოლუციის გზით. ორიენტირი უნდა ავიღოთ ცოდნაზე და ჩვენი მიზანი უნივერსიტეტის წინსვლა უნდა იყოს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი დევნილი უნივერსიტეტია, მას თავისი ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი გახდეს ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის აღმდგენი ხიდი", – განაცხადა **ზურაბ ხონელიძემ.** ამასთანავე, მან კოლექტივს შესთავაზა უნივერსიტეტის ახალი ლოგო „ცოდნა-აღმაშენებელი", რომელშიც იდეურად გაერთიანდება უნივერსიტეტის მთავარი მისია და აფხაზეთი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა, **ჯონი აფაქიძემ** მადლობა გადაუხადა ყველას, ვისაც მისი რექტორობის პერიოდში უმუშავია. მან ასევე აღნიშნა, რომ ახალი რექტორი ღირსეული ადამიანია და ეიმედება, რომ უნივერსიტეტს კიდევ უფრო განავითარებს, თავად კი რჩება უნივერსიტეტის პროფესორად და მკვლევრად.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „აფხაზეთი" იუბილარია

სალომე თორია

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან ღვინჯილია), დაარსებიდან 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ფოთში, ბათუმსა და ზუგდიდში კონცერტები გამართა. ანსამბლმა დამსწრეთ ქართულ-აფხაზური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები და ქორეოგრაფიის თითქმის მივიწყებული ნომრები წარუდგინა. ანსამბლის შემოქმედებამ სამივე ქალაქში დამსწრეთა დიდი მოწონება და ოვაციები გამოიწვია. კონცერტებში მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი, საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი.

კონცერტებს ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ფოთისა და ზუგდიდის ხელისუფლების წარმომადგენლები, აჭარაში მცხოვრები აფხაზების შთამომავლები, აფხაზეთიდან დევნილები და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები.

თემის გაგრძელება იხილეთ მე-3-4 გვერდებზე

„საზაფხულო ბანაკი" აფხაზეთის მოზარდებისთვის

ნინო ლობჟანიძე

„საზაფხულო ბანაკი" აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთ-ერთ ქვეპროგრამაა. ის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით ყოველწლიურად ხორციელდება და მისი უმთავრესი მიზანია მოსწავლეებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება. ბანაკში მათ წარდგენას სწორედ მოსწავლის აკადემიური და საზოგადოებრივი მიღწევები განსაზღვრავს.

პროექტში მონაწილე მოსწავლეები ჩვეულებისამებრ ისვენებენ საქართველოს ზღვისპირეთში, რათა გაიუმჯობესონ ჯანმრთელობა, გაკაჟდნენ და გაიარონ ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია. წლეულს „საზაფხულო ბანაკი" აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის გალის რაიონის საშუალო სკოლების 30 მოსწავლისათვის ქ. ქობულეთში მოეწყო. მოსწავლეები ჩაერთვნენ სამოქალაქო ცნობიერების, კულტურულ-შემეცნებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში.

გარემოსდაცვითი ცნობირების ამაღლების მიზნით, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს ჩაუტარეს ეკო-გაკვეთილები და ტრენინგები თემებზე: საქართველოს ტყეების რეკრეაციული პოტენციალი, ეკოტურიზმი, საქართველოს ბუნებრივი ღირშესანიშნაობები, ეკოტურიზმი დაცულ ტერიტორიებზე, ელექტრონულ რუკებზე მარშრუტის განთავსება, დაგეგმავა. ასევე, მოეწყო საველე გასვლები და სხვა საგანმანათლებლო აქტივობები ქ. ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიებზე, მაჭახელას ხეობაში. მოზარდებმა ბევრი ახალი რამ გაიგეს აქაურობაზე.

ლევან ღვინჯილია:

აფხაზურ კულტურას აფხაზური სიმღერებითა და ცეკვებით ვეხმიანებით

ნატო კორსანტია

„ჩემთვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ადამიანის არსების განმსაზღვრელი და მით უმეტეს, ერის ჩამოყალიბების უმთავრესი ფაქტორი არის ენა. და თუ ენას დავიცავთ, მხოლოდ ამით შევძლებთ ჩვენი ერის დაცვას. სხვანაირად, ადამიანი გადასხვაკაცდება, ერი გადასხვაჯიშდება“... - ამბობს ლევან ღვინჯილია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ათწლეულების განმავლობაში ქართული ენის სიწმინდისთვის ხმალშემართული მებრძოლი, ამჟამად აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

„ენა წარმოადგენს ერის გონებას, სიმღერა კი ერის გრძნობას! ჩემთვის ქართული ენა და ქართული ხალხური სიმღერა არის ორი უმთავრესი კომპონენტი, რომელიც ქართველი ერის მთლიანობას ქმნის“, - ამბობს იგი და ამით ფრჩხილებს ხსნის, რატომ ეამაყება ასე ძალიან, რომ დღეს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია. ანსამბლისა, რომელიც თავისი ქართულ-აფხაზური რეპერტუარით ქვეყნის კულტურის პოლიტიკას ეხმიანება.

ყოველივე ამაზე და კიდევ უამრავ სხვა საკითხზე გვესაუბრება ლევან ღვინჯილია:

- ბატონო ლევან, თქვენ კარგად გიცნობთ ქართული საზოგადოება, როგორც ქართული ენის სიწმინდის დაუღალავ დამცველს. „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“ - დათა თუთაშხიას ცხოვრებისეული კრედო როგორ ზუსტად მიესადაგება თქვენს პოზიციასაც. როდიდან დგახართ აქ?

- ენის არსსა და მნიშვნელობაზე ფიქრი სტუდენტობიდან მომდევს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე (მაშინ ის ჯერაც არ იყო დიდი ივანეს სახელობისა). თავიდანვე დამაინტერესა გერმანელი ფილოსოფოსის ჰაიდეგერის თვალსაზრისმა, ვისთვისაც „ენა არის ყოფიერების სახლი“. მერეც ბევრი მიფიქრია ამაზე: თუ ენა ყოფიერების სახლია, მაშინ ქართველი ვინ არის? ირკვევა, რომ ქართველი არის ის, ვინც ქართულ ენაში ცხოვრობს, ვისთვისაც „ყოფიერების სახლი“ არის ქართული ენა. ასეთ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს არც მის რელიგიურ შეხედულებას, არც მის წარმომავლობას, არც გვარს, არც გენეტიკას, არც უამრავ სხვა მახასიათებელს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველი არის ის, ვინც სამყაროს ჭვრეტს და შეიმეცნებს ქართული ენით. საერთოდაც, მე რომ მკითხოს კაცმა, ეროვნებები გაირჩევა იმის მიხედვით, ვინ რა ენით ხედავს სამყაროს და ეს გულისხმობს, ცხადია, სამყაროს სხვადასხვანაირ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ აღქმას. ჩვენ სამყაროს მოვიხსენიებთ როგორც „მსოფლიოს“ ან „სოფელს“ (შდრ. „წუთისოფელი“, „ვახ, სოფელო, რაშიგან ხარ“ და სხვ.), აქედან მომდინარეობს - „მსოფლმხედველობა“, იგივე „მსოფლიოს, სამყაროს ხედვა“. სწორედაც „მსოფლიოს ხედვით“ განვსხვავდებით ჩვენ - ქართველები სხვა ერებისგან.

- საინტერესო ფორმულირებაა: „ქართველი არის ის, ვინც ცხოვრობს ქართულ ენაში“. შესაძლოა, ასე რომ ფიქრობდით, სწორედ იმიტომაც აღმოჩნდით ქართული ენის დაცვის „სადარაჯოზე“, თუნდაც ქართული ენის პალატის თავმჯდომარედ?

- ცოტა სარკასტული შედარებაა, მაგრამ ხომ გახსოვთ, მხატვრულ ფილმ „ნატვრის ხეში“ მისი ერთ-ერთი პერსონაჟი - ფუფალა მთელი ფილმის განმავლობაში მისტირის შიოლას, რომელიც თითქოს უყვარდა. ყველას უთითებს: „აი, აქ... არა! აი, იქ დაიჩოქა და სიყვარული შემომფიცაო“. ეს სიყვარული ასულდგმულებს ფუფალას, რომელიც ბევრს გიჟი ჰგონია, მაგრამ შესაძლოა, სულაც არ არის გიჟი. ბოლოს, ნინორეს გამოუტყდება: -„არცა შიოლა ყოფილა, სუყველაფერი მე გამოვიგონეო“. ჰოდა, არანაირი ენის პალატა არ ყოფილა... მე გამოვიგონე.

- დამაინტრიგებელი პასუხია. ამით რისი თქმა გინდოდათ?

- ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში არსებობდა „ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია“. ნანახი მაქვს ივანე ჯავახიშვილის 1934 წლის საარქივო ჩანაწერი, რომელშიც ამ კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები აქვს ჩამოწერილი. ანუ საბჭოთა საქართველოშიც მსჯელობდნენ ენის საჭირბოროტო საკითხებზე. ხსენებული კომისიის ხელმძღვანელი ყოველთვის იყო მთავრობის თავმჯდომარე. თავის დროზე არნოლდ ჩიქობავას ინიციატივით შეიქმნა ეს სამსახური, რომელიც სალიტერატურო ენის პრობლემურ საკითხებს სწავლობდა და ამ სფეროში „საკანონმდებლო“ - დირექტიულ დადგენილებებს გამოსცემდა. კი გამოსცემდა, მაგრამ მერე როგორ სრულდებოდა ისინი, ან სრულდებოდა თუ არა საერთოდ, ამის გასაკონტროლებლად არანაირი ინსტიტუციური მექანიზმი არ არსებობდა. ამაზე დაფიქრებამ მიმიყვანა სწორედ „ენის სახელმწიფო პალატის“ შექმნის იდეამდე და 1995 წელს გაზეთ „სამშობლო-ფორტეში“ შესაბამისი კონცეფციაც გამოვაქვეყნე, რომელსაც დიდი გამოხმაურება და ხელისუფლების მხრიდან სათანადო რეაგირებაც მოჰყვა; ასე შეიქმნა 1996 წელს, ჯერ დედაქალაქის მერიაში „სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ქალაქგაფორმების საზედამხედველო სამსახური“, ხოლო 1997 წლის 24 იანვარს (ანუ ჩემი დაბადების დღეს...) „ენის სახელმწიფო პალატა“, როგორც პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო სამსახური, რომელმაც 2004 წლამდე იარსება.

- ბატონო ლევან, დღეს რა ვითარებაა, როგორ აფასებთ ქართული ენის დღევანდელ მდგომარეობას?

- დღეს რომ არის ქვეყნის სახელმწიფო ენა აბუჩად აგდებული, ასე არასოდეს ყოფილა, თვით გაგანია „კომუნისტურ ეპოქაშიც“ კი. თუკი „ერის მეობის უმთავრესი და არსებითი ნიშანი არის ენა“ (ილია) და თუ „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“ (გრიგოლ ორბელიანი), მაშინ ენის გაძლიერებაზე ზრუნვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა ერი აღორძინდეს. ამასთანავე, ენობრივი ნორმების დაცვა, ქართული ენის პატივისცემა სავალდებულო უნდა იყოს როგორც ქართველის, ასევე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა სხვა ერის წარმომადგენლისთვის.

საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“, რომელიც ჯერაც არ ამოქმედებულა. მე ამ საკითხს სოციალური ქსელისა თუ სხვა საშუალებების გამოყენებით თითქმის ყოველდღე ვახსენებ ხელისუფლებას, მაგრამ ჯერჯერობით - ამაოდ. გარდა ამისა, ჩვენმა ხელისუფლებამ ეროვნულად მნიშვნელოვან ბევრ სხვა საკითხსაც წაუყრუა; მაგალითად, რუსთაველის 850 წლისთავს, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის აღნიშვნას და ა. შ.

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თაობები „ცოდნის ტაძარს“ უწოდებდნენ. იქ ასწავლიდნენ დიდი მეცნიერები, ერის მოჭირნახულე ადამიანები. მათგან ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება?

- საინტერესო კითხვაა და სიამოვნებით გიპასუხებთ. მეორე კურსზე, როდესაც არჩევანის წინაშე დავდექი - რომელი ჯგუფი ამერჩია: ქართული ლიტერატურის, ენის, კლასიკური ფილოლოგიისა თუ ჟურნალისტიკის, არჩევანი „ენის ჯგუფზე“ შევაჩერე. იმ დროს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ასწავლიდნენ „კოლხურ ენას“, ანუ მეგრულ-ჭანურს, რომელსაც არნოლდ ჩიქობავა „ზანურს“ უწოდებდა, აკაკი შანიძე კი - „კოლხურს“. ჩვენთან, მეორე კურსზე, კოლხური ენის ლექტორად შემოვიდა აწ განსვენებული ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, კორნელი დანელია. მან მომცა სამეცნიერო დავალება: სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისათვის დამემუშავებინა მოხსენება - „მეგრულის კილოკავური დაყოფისათვის“. მანამდე ცნობილი იყო, რომ მეგრულში არის ორი დიალექტი: სენაკური და ზუგდიდურ-სამურზაყანოული. ჩემი დაკვირვების კვალობაზე გამოიკვეთა, რომ არის კიდევ მესამე დიალექტი, რომელიც არც სენაკურია და არც ზუგდიდურ-სამურზაყანოული, არამედ მათ შორის გარდამავალია. ნაშრომი წავიკითხე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელსაც, სხვებთან ერთად, ესწრებოდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, რომელსაც მანამდე მე სახეზე არ ვიცნობდი.

კონფერენციის მეორე თუ მესამე დღეს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, ეზოში, მისალმების შემდეგ მაჩერებს ბატონი არნოლდი და მეუბნება: - ყმაწვილო, თუ თქვენ ენებისადმი ინტერესი გაქვთ, ხომ არ ისურვებდით „კავკასიური ენების განყოფილებაზე“ გადმოსვლას; ოღონდ, პასუხი ერთი კვირის შემდეგ მითხარითო. მე იმ წუთშიც მზად ვიყავი პასუხისთვის, თუმცა არ ავცეტდი და დავთანხმდი.

ერთი კვირის შემდეგ, როცა არნოლდ ჩიქობავასთან დამიბარეს, მასთან ერთად იქ დამხვდნენ: პროფესორი აკაკი ურუშაძე, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; პროფესორი გიორგი შალამბერიძე, დეკანის მოადგილე; პროფესორი გიორგი როგავა, კავკასიურ ენათა კათედრის გამგე; უმშვენიერესი სანდომიანი ქალბატონი, როგორც მოგვიანებით გავიგე, პროფესორი ქეთევან ლომთათიძე, აფხაზური ენის (და - არამარტო!) მკვლევარი და ლექტორი.

- რა გადაწყვიტეთ, პატივცემულო ლევან?- მკითხა არნოლდ ჩიქობავამ. - რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით გადავალ, თუ არის შესაძლებელი, - ვუპასუხე. ცხადი ხდება, რომ მეორე კურსიდან მესამეზე უნდა გადამიყვანონ „კავკასიურ ენათა გამყოფილებაზე“, სადაც მეორე კურსელებს აფხაზური ენა უკვე გავლილი აქვთ, მე კი, ბუნებრივია, ეს საგანი ჯერ არ მისწავლია. როგორც ჩანს, ამიტომაც ბატონი არნოლდი ეკითხება ქალბატონ ქეთევანს: - ქეთევან, აფხაზურის საკითხი როგორ იქნება? ქალბატონმა ქეთევანმა უპასუხა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი მეხუთე კურსელ დიპლომანტებთან - ნინელი ჭოხონელიძესთან და ცისანა ხაზარაძესთან ერთად, ორი თვით გამაგზავნიდნენ აფხაზეთში აფხაზური ენის შესასწავლად. ასე მოვხვდი აფხაზეთში და იქ გატარებულმა დღეებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემს მეხსიერებაში.

- საჯარო გამოსვლების დროს, ერთი-ორჯერ მეც ვარ მომსწრე, რომ თქვენ აფხაზეთში გატარებულ დღეებზე საუბრისას ცრემლებს ვერ მალავთ. ბატონო ლევან? ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვისთანაც გაატარეთ ის ორი თვე?

- ჯერ ჩავედით სოხუმში, აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მუშაობდნენ ქალბატონ ქეთევანის მიერ თბილისში დაფრთიანებული დები - სარია და ვალია ამიჩბები. სარია ლინგვისტი იყო; მან წერილი გაგვატანა თავის ნათესავებთან - აშუბებთან, სოფელ ჯგერდაში, რათა მათ ოჯახში დავბინავებულიყავი ჩვენს გოგონებთან - ცისანასთან და ნინელისთან ერთად. მათ სადიპლომო ნაშრომები ჰქონდათ დასაწერი აფხაზურში, მე კი ენა უნდა მესწავლა. აშუბები სოფლის ცენტრში ცხოვრობდნენ, ორსართულიანი, კეთილმოწყობილი სახლი ედგათ. ჯერ სოფლის საბჭოში, მერე კი მასპინძლებთან მამაჩემმა მიგვიყვანა. აშუბებმა განსაკუთრებული პატივით მიგვიღეს, თხა დაკლეს, გაიშალა დიდი სუფრა და ისე გულითადად გვიმასპინძლეს, ისეთი განწყობა შექმნეს, რომ ასე გვეგონა, თითქოს აღმოვჩნდით დიდი ხნის უნახავ ნათესავებთან, რომლებიც მოუთმენლად გველოდნენ.

ზუსტად ასეთი განწყობით და ურთიერთობით გავატარეთ ის ორი თვე ჯგერდაში. იქ ყოფნას კურიოზებიც ახლდა. მაგალითისთვის ერთს მოგიყვებით: აფხაზურად „რა არის ეს“ გამოითქმის ასე: „აბრი იახ ცუზი“ და ბავშვებს, რომლებთან ერთადაც დავდიოდი საბანაოდ თუ სათევზაოდ, ყველაფერზე, რისი აფხაზური სახელწოდების გაგებაც მინდოდა, ვეკითხებოდი: „აბრი იახ ცუზი?“ და ისინიც ხალისით მპასუხობდნენ. მალევე ჩემმა პატარა „მასწავლებლებმა“ არც აციეს, არც აცხელეს და ზედმეტ სახელად „იახცუზი“ შემარქვეს; რომ დამინახავდნენ, ჟრიამულით მიხმობდნენ თავიანთსას: „იახცუზი! ვაი, არახ, ვაი!“ („იახცუზი, მოდი აქ, მოდიო“).

საოცარი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. მერე, როცა ეს ტრაგიკული ამბები დატრიალდა, რამდენჯერ მესიზმრა, თითქოს ჯგერდაში აშუბებთან ჩავედი, ჭიშკარი შევაღე, ვიღაცებმა გამოიხედეს და ზურგი შემაქციეს. გული დამწყდა...

მაშინ კი, მესამე კურსზე, აფხაზური ენა, როგორც განსხვავებული საგანი, წარმატებით ჩავაბარე. თუმცა მოგვიანებით, როცა ჩემი ასპირანტურაში დატოვება გადაწყდა, ისევ არნოლდ ჩიქობავას ინიციატივით, აფხაზურის ნაცვლად, დაღესტნური ენები „მომისაჯეს“ და თანდათან ასე ვიქეცი ლაკურ-დარგუული ქვეჯგუფის ენათა მკვლევრად.

- ბატონო ლევან, თქვენი სახელი და გვარი საქართველოში ქართულ ენის გარდა, ქართულ სიმღერასაც დაუკავშირდა, ბოლო დროს კონკრეტულად აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს. ზემოთ თქვენ საუბრობდით იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს ქართველი ერი ქართულ ენაში, როგორ ინახავს ქართული ენა ერის თვისებებს, ერის ბუნებას... რას იტყვით ამ თავსაზრისით ქართულ სიმღერაზე, შეიძლება ითქვას, რომ ამ ნიშნით ქართული ენა და ქართული სიმღერა ერთია?

- დიახ, დაგიდასტურებთ, რომ ერთია. თავის დროზე, ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ, არნოლდ ჩიქობავამ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდა ილიასადმი მიძღვნილი წერილი, სადაც მოიყვანა ილიას სიტყვები, რომ „ენა არის ერის მეობის უმთავრესი და არსებითი ნიშანი“. მერე კი გახსნა ფრჩხილი და, თავის მხრივ, დასძინა: „და კიდევ ხალხური სიმღერა - ერის განცდათა გამომხატველი“. ანუ როგორც ადამიანი არ მოიაზრება გრძნობებისა და გონების ერთობლიობის გარეშე, ისევეა ერიც, რომლისთვისაც ენა არის გონება და სიმღერა - მისი გრძნობა. სადაც გონებაა, იქვეა გრძნობაც.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ლევან ლვინჯილია:

აფხაზურ კულტურას აფხაზური სიმღერებითა და ცეკვებით ვეხმიანებით

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ამიტომაც ჩემთვის ქართული ენა და ქართული სიმღერა არის ორი უმთავრესი ფენომენი, რომელიც ქართველი ერის მთლიანობას ქმნის. ე-რ-ი ჩემთვის ერთგვარი ხუმრობით ასე იშიფრება: ე(ენა) რ(წმენა) ი(სტორია)... და უფრო დიდი სიამაყე, ვიდრე ის, რომ ემსახურო ამ ღვთიურ ერთობლიობას, ვერ წარმომიდგენია.

ამიტომაც, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრს, ბატონ დიმიტრი ჯაიანს იმისთვის, რომ მომცეს შესაძლებლობა, 2015 წლის თებერვლიდან „აქ“ ვიდგე.

- რაც თქვენთვის უცხო სფერო სულაც არ იყო. მანამდე ქართული ხალხური სიმღერის არაერთი ანსამბლის დამფუძნებელი იყავით, მათ შორის ანსამბლ „ფაზისისა“, რომლის 40 წლისთავი წლეულს აღინიშნა.

- საინტერესო ამბები გამახსენეთ. ანსამბლ „ფაზისის“ სამხატვრო ხელმძღვანელი თავდაპირველად იყო რობერტ გოგოლაშვილი, შემდეგ - ჯუმბერ ყოლბაია, რომელიც ამჟამად აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ მთავარი დირიჟორია, მას კი გვერდით უდგას ლოტბარი ვეზდენ ოკუჯავა, რომლის ინიციატივითაც აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი სწორედ იმ წლებში, როცა თბილისში „ფაზისი“ იქმნებოდა, ჩამოყალიბდა სოხუმში; ამდენად, წლეულს ჩვენი ანსამბლი „აფხაზეთიც“ იუბილარია! არ შემიძლია აქვე არ ვახსენო ანსამბლის ქორეოგრაფი სერგო გეგეჭკორი.

„ფაზისს“ პირველი გამოსვლა ჰქონდა 1976 წელს, აკაკი შანიძის 90 წლის იუბილეზე. შემდეგ დიდი ენათმეცნიერის 100 წლის იუბილეზეც გვხვდა წილად იგივე პატივი. მე იქ სიტყვაც ვთქვი, ხუმრობანარევი ტექსტით მივმართე იუბილარს, გურულებს გაქვთ „სამკურნალო სიმღერები“, მათ შორის „საბოდიშო“ („ბატონებო, მოუოხეთ!“), რომელსაც ახლა მოგიძღვნით და კიდევ მეორე ამდენ ხანს იცოცხლებთ-მეთქი. ვთქვი, რომ აკაკი შანიძე არ იყო ერთადერთი დიდი ქართველი, რომელსაც ასი წელი შეუსრულდა. ასი წლის გახდა გრიგოლ ხანძთელიც, რომელიც თავის იუბილეს ვერ დაესწრო, რადგან სწორედ იმ დღეებში აფხაზეთში გაეკიდა მოსაძებნად იქ გაქცეულ ორ სულიერ ძმას.

„ფაზისამდეც“ იყო კიდევ რამდენიმე ანსამბლი, მათ შორის, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი თბილისის განათლების მუშაკთა კულტურის სახლში, ცნობილი მომღერლის, რამინ მიქაბერიძის ხელმძღვანელობით. მიხარია, რომ ახლა რამინის შვილიშვილი, თორნიკე მანწკავა ანსამბლ „აფხაზეთის“ ერთ-ერთი წამყვანი სოლისტია. „ფაზისიდან“ წასვლის შემდეგ, საქართველოს კულტურის ფონდში თემურ ქევხიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოვაყალიბე ანსამბლი „ოროველა“. შემდეგ იყო ანსამბლი „იმედი“, ბადრი პატარკაციშვილის მიერ დაარსებულ კომპანია „არტიმედში“ და ა.შ. დაახლოებით 9 ანსამბლის შექმნის სათავეებთან ვიდექი.

რეზიუმეს სახით მინდა გავიმეორო; სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში რომ აღმოვჩნდი, ამით „სხვაგან“ არ წავსულვარ, ისევ „იქ“ ვარ.

- ქართული კულტურა უძრაობის ხანაშიც ახერხებდა აშკარად თუ შეფარვით გადმოეცა ერის უმთავრესი საფიქრალი. ჩემი აზრით, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანლად თქვენი მოსვლის შემდეგ, მისი რეპერტუარი გახდა უფრო მრავლისმომცველი, სათქმელისა და გზავნილების აშკარად გამომხატველი.

- დიდი მადლობა ამისი დანახვისთვის. რაც შეეხება აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ (ეს სახელი ჩემი მისვლის მერე დაერქვა) სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნას, ამ წინადადებას სიამოვნებითა და მადლიერებით იმიტომაც დავთანხმდი, რომ აქ არის ეროვნულ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანის კარგი ასპარეზი. ჯერ ერთი, რეპერტუარს იმის მიხედვით ვადგენთ, სოხუმში რომ ყოფილიყო, როგორი იქნებოდა. მეორეც, ამით აფხაზურ კულტურას - მის სიმღერასა და ცეკვას ვინახავთ და ვპატრონობთ. ჩვენ ხომ ზემოთ მოვიხმეთ არნოლდ ჩიქობავას სიტყვები: „სიმღერა ერის განცდათა გამომხატველიაო“ და აფხაზურ განცდებს, აფხაზურ გრძნობებს, აფხაზურ ტრადიციებს აფხაზური სიმღერებითა და ცეკვებით ვეხმიანებით, ვეფერებით. რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ეს მათაც დაინახონ, განიცადონ და ვფიქრობ, თუ აფხაზს ჩვენ ნამღერ აფხაზურ სიმღერაზე ცრემლი მოერევა, მაშინ ერთამენთს არ დავკარგავთ.

როცა ჩვენი ანსამბლი აფხაზურ „შიშნანს“ და იქვე, მის გვერდით, ხევსურულ „ვაჟკაცის დატირებას“ მღერის, რომელსაც, გუნდან ერთად, სულისშემძვრელად ასრულებს სოხუმელი სოფიო ქირია, ადვილად მისახვედრი ხდება, რომ ეს ერთი და იგივე უძველესი ტრადიციაა. ამ და სხვა ქართულ-აფხაზურ სიმღერებში კარგად ჩანს, რამდენი რამ გვაქვს საერთო, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი, რაც ხანგრძლივი თანაცხოვრებითაა განვითარებულ-ჩამოყალიბებული.

აი, ეს - ენა და სიმღერა, არის გზა, რომელიც მიდის გულებისკენ. მათი ერთობლიობა ისევ გაგვაერთიანებს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ანსამბლთან ერთად სოხუმში ჩავალთ.

- აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი 40 წლის წინათ სოხუმში შეიქმნა. როგორ აპირებთ იუბილის აღნიშვნას?

- საიუბილეო კონცერტები გავმართეთ ბათუმში, ფოთსა და ზუგდიდში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორ კარგად იღებს მას მაყურებელი. საერთოდაც, მინდა, რომ ეს ანსამბლი ამ სახით გაიცნოს ბევრმა ქვეყანამ. ვფიქრობ, სასურველია მისი ჩართვა პოლიტიკურ მოლაპარაკებებშიც. რატომ არ შეიძლება, რომ ვთქვათ, ჟენევის ფორმატის ერთ-ერთი შეხვედრის მონაწილეებმა დაძაბული დღის ბოლოს მოუსმინონ მას, ნახონ, რომ ანსამბლს „აფხაზეთი“ სწორედ იმიტომაც დაერქვა, რომ მასშია აფხაზეთი მთელი თავისი კულტურითა და ტრადიციებით; მის სიმღერებსა და ცეკვებშია აფხაზეთი... ღირს ამისთვის ფულის დახარჯვა.

თუმცა რაღა შორს მივდივარ, საქართველოშივე, უზარმაზარ საკონცერტო დარბაზში - „ბლექ სი არენა“ რომ უწოდეს (ჩვენთან ხომ ყველაფერს ინგლისური სახელი უნდა დაარქვან, ან რით ვერ მოიძებნა „ჩექ ინ ჯორჯია“-ს ქართული შესატყვისი?!), სადაც 10 ათასამდე კაცი ეტევა, რამდენჯერმე გაიმართა ხალხური შემოქმედების საღამო. არცერთხელ არ გახსენებია არც „ფოლკლორის ეროვნულ ცენტრს“ და არც საქართველოს კულტურის სამინისტროს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რაც ძალიან საჭირო და სასურველი იქნებოდა არა იმიტომ, რომ ის ვინმეზე უკეთესია ან უარესი, არამედ იმიტომ, რომ კულტურის ეროვნული პოლიტიკა გატარებულიყო და სიტყვა „აფხაზეთი“ და „აფხაზური თემა“ გახმიანებულიყო კიდით-კიდემდე, შინ თუ გარეთ.

ამგვარი ანსამბლი, რომ არ გყავდეს, უნდა გამოიგონო და, როცა გყავს, უნდა გამოიყენო; სადაც ხელი მიგიწვდება, ყველგან უნდა ჩართო, რათა ყველამ ნახოს, როგორ ვუფრთხილდებით, ვიცავთ და ვავითარებთ აფხაზურ კულტურასა და ენას, როგორ ვეფერებით აფხაზ ხალხს, რისი გამკეთებელიც დედამიწის ზურგზე, ჩვენ მეტი, სხვა არავინ არის.

მან აფხაზეთიდან მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ წამოიღო

ღვაწლმოსილი პედაგოგის შალვა შონიას 100 წლის საიუბილეოდ

წლეულს, 16 ივლისს აფხაზეთში ქართული სიტყვის თავდადებული მოამაგის, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის - შალვა ნესტორის ძე შონიას დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

საქართველოს ისტორიულ და განუყოფელ მხარეში - აფხაზეთში ეროვნული სულისკვეთების გაძლიერების სათავეში ყოველთვის იდგნენ განათლების ქართული კერები. ამ მისიას საუკუნეების განმავლობაში წარმატებით ასრულებდნენ ეკლესია-მონასტრები, იქ მოღვაწე განმანათლებლები. შემდგომში ეს ტრადიცია გააგრძელეს ქართულმა სკოლებმა, სადაც მიუხედავად მეფის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის ანტიქართული პოლიტიკისა, თავდადებით იღვწოდნენ პატრიოტი პედაგოგები. ისინი დარაჯად ედგნენ და მკერდით იცავდნენ ჩვენს დედაენას, აფხაზეთში ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილ წარსულს.

ერთ-ერთი მათგანი იყო შალვა შონია, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულის მეორე საშუალო სკოლის დამაარსებელი და მრავალი ათეული წლის განმავლობაში ამ სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი სპეციალისტი, მრავალი თაობის აღმზრდელი და მათთვის მაგალითის მიმცემი. იგი სათავეში ჩაუდგა კვიტოულის რვაწლიან სკოლას და იგი ნაბიჯ-ნაბიჯ ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე, თითით საჩვენებელ სასწავლო დაწესებულებად აქცია. ამასთანავე შალვა შონიას დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა კვიტოულში მიმქრალი ქართული სულიერების გასაღვიძებლად და გასაძლიერებლად. ასი წელი გავიდა შალვა შონიას დაბადებიდან, მაგრამ დრო ვერაფრით დაჩრდილავს მის ღვაწლსა და ამაგს, მის მიერ დატოვებულ ნათელ კვალს. ასეთ მამულიშვილებს თაობები არ დაივიწყებენ.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ შალვა შონია ტყვედ ჩავარდა. მერე კი, როცა მისი ტყვეობიდან გამოხსნა მოხერხდა, შალვა შონიას საკუთარი სახლიდან არაფერი წამოუღია ქართული სულიერი კულტურის უმთავრესი საგანძურის - შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, რაც ქართველი მასწავლებლის გმირობის მაგალითია. ქართველ მასწავლებელს გადასარჩენად რუსთაველის წიგნი მოჰქონდა ჩვენი ერის უკვდავების, ჩვენი სიმართლის სიმბოლოდ, ნიშნად იმისა, რომ სიკეთე ბოროტებას დაამარცხებს!

შემდეგ ომის ცეცხლმა შთანთქა შალვა შონიას ნაამაგარი სახლი, მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა, ვანდალებმა დაწვეს კვიტოულის საშუალო სკოლის შენობაც. შალვა შონიამ ვერ აიტანა ეს ყველაფერი და უზომო დარდი გაჰყვა თან იმქვეყნიურ სასუფეველში.

შონიების საგვარეულო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

ა ჯ ი ლ დ ო ვ ე ბ ს

საპატიო
სიგელით

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მრავალი თაობის მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისათვის, დაბადებიდან 100 წლის იუბილეასთან დაკავშირებით საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებულ მასწავლებელს

შალვა შონიას

რედაქციისაგან:

აფხაზეთის ა/რ უმაღლესმა საბჭომ საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი **შალვა შონია,** სიკვდილის შემდეგ, დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მრავალი თაობის მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისათვის“ საპატიო სიგელით დაჯილდოვა.

შალვა შონიას დაბადებიდან 100 წლის იუბილე წლეულს ქ. წალენჯიხაში, მოსკოვში მცხოვრები ბიზნესმენის - აბესალომ შონიას მხარდაჭერით, მასშტაბურად აღინიშნა.

იუბილეს ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად ესწრებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი,** რომელმაც ოჯახს ღირსეული წინაპრის იუბილე მიულოცა და საჩუქრად სამინისტროს გამოცემები უსახსოვრა.

ხელოვნების ქურუმები

მაია შონია

11 ივნისს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ორსაათნახევრიანი კონცერტის დასრულება კიდევ დიდხანს არ სურდა - ქართული ფოლკლორული მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა ანსამბლმა „ფაზისმა“ 40-წლის იუბილე აღნიშნა.

სცენაზე ანსამბლის თითქმის ყველა თაობა იდგა - როგორც პირველი შემადგენლობა, ისე მოგვიანებით შემოერთებული წევრები. აღმოჩნდა, რომ ვერც ოთხმა ათეულმა წელმა და ვერც ბოლო რამდენიმეწლიანმა შემოქმედებითმა პაუზამ „ფაზისელთა“ გასაოცარ ხმებსა და სიმღერის მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ მანერას ვერაფერი დააკლო. ამ ხმებმა ერთნაირად აღაფრთოვანა ანსამბლის პირველი გულშემატკივრებიც, რომლებიც დარბაზში, საბედნიეროდ, ბევრნი იყვნენ და ახალგაზრდებიც, რომელთაც ეს ხმები პირველად ამ კონცერტზე მოისმინეს. საიუბილეო საღამოს დასრულების შემდეგ ერთხმად ითქვა, რომ „ფაზისის“ „დუმილი“ არ შეიძლება.

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ფაზისი“ 1976 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა. ანსამბლის დაარსების ინიციატორი იყო ლევან ღვინჯილია. ანსამბლში გაერთიანდნენ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების თანაშრომლები, რომელთაც სიმღერის გამოცდილება უკვე ჰქონდათ. ანსამბლს თავდაპირველად რობერტ გოგოლაშვილი ხელმძღვანელობდა. 1982 წლიდან დღემდე კი მას სათავეში ჯუმბერ ყოლბაია უდგას. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე აკაკი შანიძის იუბილეზე ანსამბლ „ფაზისის“ პირველი საჯარო გამოსვლა დიდი შემოქმედებითი წარმატების დასაწყისი აღმოჩნდა. ანსამბლი იღებდა მიწვევებს არაერთ ქალაქსა თუ ქვეყანაში. გერმანია, საფრანგეთი, მექსიკა, ავსტრია, შვედეთი, რუსეთი, ნორვეგია, სირია - ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, სადაც „ფაზისი“ წლების განმავლობაში მართავდა კონცერტებს. „ფაზისელებმა“ თავიდანვე ყურადღება სიმღერის შესრულების საკუთარი „ხელწერით“ და მხოლოდ ამ ანსამბლისთვის დამახასიათებელი ბგერით მიიქციეს. ანსამბლს გამოცემული აქვს სამი ფირფიტა-გიგანტი და ორი კომპაქტ-დისკი, სადაც ქართული ფოლკლორული მუსიკის შედევრები შევიდა. თავის დროზე ეს ხმები საქართველოს რადიომაც აღბეჭდა და ეს უნიკალური ჩანაწერები მის ოქროს ფონდში ინახება. ანსამბლი და მისი წევრები არაერთი სიგელითა და ორდენით არიან დაჯილდოებულნი.

ანსამბლის დღევანდელი შემადგენლობაა: რევაზ ჭკადუა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ოთარ ბაიდოშვილი, მიხეილ ჩიკვილაძე, ავთანდილ შურღაია, დავით კვინიკაძე, როინ გამყრელიძე, რევაზ მდინარაძე, პაატა შუბითიძე, ანსამბლის ხელმძღვანელი ჯუმბერ ყოლბაია.

ანსამბლში სხვადასხვა დროს მღეროდნენ: ლევან ღვინჯილია, გოგი დოლიძე, თემურ ჭკუასელი, ზურაბ კობიაშვილი, რეზო სალუქვაძე, ზაურ გოგოლაშვილი, დავით გველესიანი, მალხაზ თალაკვაძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ნუგზარ ფსუტური, სპარტაკ წიქარიძე, ანზორ გოგიაშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ბორის სორდია.

კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა კახური, მეგრული, აფხაზური სიმღერების ჰანგები. საოცარი ვირტუოზულობით შესრულდა „კუჩხი ბედინერი“, „ვაგიორქო მა“, „ოდოია“, „ვა რაიდა, სი ვარაიდა“ და სხვ. შესრულდა ასევე ქართველ კომპოზიტორთა (გომარ სიხარულიძის, არჩილ ჩიმაკაძის, მალხაზ თალაკვაძის და სხვ.) სიმღერებიც. გაიხსენეს ანსამბლის გამოკლებული წევრები: გოგი

დოლიძე, ნუგზარ ფსუტური, ზაურ გოგოლაშვილი. კონცერტზე მათი ხმებიც გახმიანდა.

ანსამბლის ერთგული მსმენელები, რომელთაც უკვე რამდენიმე წელია ამ ხმების მოსმენის შესაძლებლობა არ ჰქონიათ, კონცერტით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

ლადო კახაძე: - სცენაზე იდგა ქართული გენის უკვდავება - 70-ს მიახლოებული და 70-ს გადაცილებული ადამიანები. რა ინახავს ადამიანის სულსო რომ ამბობენ, ქართული სიმღერა ინახავს მას. თითოეული ამ ანსამბლის წევრი არის მოღვაწე, ხელოვანი, თავისი ერის მსახური. კონცერტზე აფხაზური სიმღერა შესრულდა - ეს სიმღერა აფხაზებს ამ ანსამბლის შესრულებით მოსმენილი აქვთ და ფეხზე წამოუდგნენ მას. რა არის ჩვენი ხვალინდელი დღე - ეს არის შვილების და შვილიშვილების ასეთ ადამიანებთან დაკავშირება. ამ თაობისგან უამრავი რამეა სასწავლი. ამ კონცერტით ხელმეორედ დაიბადა „ფაზისი“. თუმცა ჩემთვის ერთი დღეც არ შეუწყვეტია არსებობა იმ დროიდან მოყოლებული, როცა მე ვცეკვავდი და ისინი სცენაზე იდგნენ და მღეროდნენ. „ფაზისი“ განსაკუთრებით გენიალურად მღერის საგალობლებს, ქართველი კომპოზიტორების მიერ შექმნილ დიდებულ ნაწარმოებებს. წარსულის გარეშე მომავალი არ არსებობს. „ფაზისი“ ამ წარსულს ქართული სიმღერის სახით ინახავს. უდიდესი მადლობა ორგანიზატორებს. მივესალმები ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ ანსაბლის მთელ საქართველოში მოგზაურობას შეუწყობს ხელს.

ფრიდონ სულაბერიძე: - ეს იყო საოცრება. საოცარი ჰანგი მოვისმინე. ხანში შესულები არიან, მაგრამ ხმები არა აქვთ დაკარგული, ეს იშვიათია. არაჩვეულებრივი კონცერტი იყო. მინდა, რომ აუცილებლად გააგრძელონ სიმღერა, რისთვისაც აუცილებელია რომ კერძო სექტორის, ისე სახელმწიფოს მხარდაჭერა, რაზეც საქართველოს პარლამენტის წევრებმაც ისაუბრეს.

მარიამ ჯაში, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: - ანსამბლმა არაჩვეულებრივი საღამო წარმოგვიდგინა. ეს არის უდიდესი გამოცდილების მქონე ანსამბლი და ეს კონცერტიც ამის შედეგი იყო. თავის დროზე ლევან ღვინჯილია ედგა ამ ყველაფერს სათავეში. შემდეგ ანსამბლმა წარმატებით გააგრძელა საქმიანობა. ჰქონდათ გარკვეული პაუზა. ძალიან სასიხარულოა, რომ „ფაზისმა“ განაახლა სიმღერა და მომავალშიც ბევრ წარმატებას ვუსურვებ მათ.

სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი: - ჩვენ ვართ ამ ანსამბლის ძალიან დიდი გულშემატკივრები და მხარდამჭერები. წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ სახვეწნი იყოს მათი სცენაზე გამოსვლა. ვემზადებით იმისთვის, რომ მათი კონცერტი ზაფხულში ზუგდიდში ჩატარდეს. ვფიქრობ, თავად რეგიონების ინტერესი უნდა იყოს ამ ანსამბლის მიწვევა, ინიციატივა მათგან უნდა მოდიოდეს. ეს არის ანსამბლი, რომელიც ყველამ უნდა მოისმინოს. ანსამბლის რეგიონებში გასვლის მხარდამჭერები შემოგვიერთდით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ანსაბლის ხელმძღვანელი, ლოტბარი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ანსამბლ „რუსთავის“ ყოფილი სოლისტი, 50-წლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე ხელოვანი, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი დირიჟორი **ჯუმბერ ყოლბაია** ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ხელოვნების ქურუმის წოდებით დააჯილდოვა.

ჯუმბერ ყოლბაია: - ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო არის ჩემი ერი და ქართული სიმღერა, რომელსაც სულ მინდა ვეფერო. ამ სიმღერის მადლით დაგვაბრუნოს ღმერთმა აფხაზეთში, საიდანაც ჩვენ ვართ წამოსული. ანსამბლის წევრებთან უკვე შევთანხმდით, რომ კვირაში ორჯერ უნდა ჩავატაროთ რეპეტიციები. ეს იმას ნიშნავს, რომ ვაგრძელებთ საქმიანობას.

ანსამბლ „ფაზისის“ 40 წლის იუბილის აღნიშვნა არაერთი ადამიანისა და ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. მათ შორის იყვნენ: არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“, თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი გიგა ჯაფარიძე (საღამო მას მიჰყავდა), ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი სიხარულიძე, თბილისის მერია, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემია, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი სალომე ზურაბიშვილი, თბილსის სახელმწიფო კონსერვატორია, მედიასაშუალებები.

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა ვიკიპედიაში

ქეთი დავითაია

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით 2017 წლის 23–25 ივნისს დაბა წყნეთში გაიმართა „ვიკი ბანაკი“, რომლის ფარგლებშიც 24 ივნისს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემებზე: „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა დღეს“ და „აფხაზური დამწერლობის განვითარების ეტაპები“.

ლექცია წაიკითხეს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა. ლექციაზე მსმენელებმა მოისმენეს ინფორმაცია ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. ბანაკის ფარგლებში სამინისტროს წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს ელექტრონულ ფორმატში აფხაზურ ენაზე მიაწოდეს ინფორმაცია აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე, რათა მათ აფხაზურენოვან ვიკიპედიაში ატვირთონ ეს სტატიები. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ინტერნეტ სივრცეში (WIKIPEDIA) ობიექტური ინფორმაცია აფხაზეთის ა/რ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ აფხაზურ ენაზე განთავსდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წლეულს, აფხაზეთის ა/რ №2 საჯარო სკოლაში ვიკი-ბანაკის ფარგლებში ქართულ და ინგლისურ ენაზე უკვე აიტვირთა ინფორმაცია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

„აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“, ასე ჰქვია წიგნს, რომლის ავტორი ნატო მარშანია თვით იმ აფხაზი ემიგრანტების შთამომავალია. გასაბჭოების ავბედითი პერიოდის მარწუხებში მოყოლილი, სამშობლოდან დევნილი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული ამ ადამიანების ბედი ბოლომდე არავინ უწყის. ნატო მარშანია შეეცადა მათი ნაკვალევისთვის მიეგნო, საქართველოსა და ევროპის არქივებში საკუთარი ძალისხმევითა თუ გულისხმიერი ადამიანების თანადგომით მათი ისტორიები მოეძიებინა, შეეკრიბა და ერთ წიგნად შეეკრა. და რაც მთავარია, ეს არის ერთგვარი გაგრძელება ნატო მარშანიას წინა კრებულისა „ქედუხრელი რაინდი“, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრების წევრის, აფხაზეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარის (1919-1921 წწ.) დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

გთავაზობთ ნატო მარშანიას წიგნიდან „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ ამონარიდს, რომელიც აფხაზეთში ცნობილი მეწარმის, ჯოტო ლევანის ძე შარვაშიძის ვაჟის მიხეილ შარვაშიძის პარიზულ სასიყვარულო ისტორიებზე მოგვითხრობს.

მიხეილ შარვაშიძე - უნატიფეს ქალთა რჩეული

ნატო მარშანია

2015 წლის 22 მარტი, ლევილი. საოცარი განცდა მეუფლება. ემოციებს ძლივს ვთოკავ. ვეძებ მიხეილ (მიშა) შარვაშიძის საფლავს. არცთუ ხანგრძლივი ძიების შემდეგ ვაგნებ.

მიხეილ შარვაშიძე (ჩაჩბა) დაიბადა 1907 წლის 5 სექტემბერს, სოხუმში, მთელ აფხაზეთში ცნობილი მეწარმის, ჯოტო ლევანის ძე შარვაშიძისა და მარიამ (მაიონა) ანჩაბაძე (აჩბას) ოჯახში. მიხეილის მამა, ჯოტო ლევანის ძე შარვაშიძე აფხაზეთში თვალსაჩინო ფიგურა იყო.

1918-1921 წლებში ჯოტო შარვაშიძე აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი იყო. მან, დიდი გაქანებისა და შარმის მქონე ადამიანმა, ძალისხმევა არ დაიშურა საიმისოდ, რომ აფხაზური არისტოკრატია საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან შემოერიგებინა.

1921 წელს, საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ჯოტო შარვაშიძის ოჯახი აფხაზეთს ტოვებს და თურქეთს მიემგზავრება. რამდენიმე თვეში მისი მეუღლე მაიონა ბრუნდება აფხაზეთში, რათა თურქეთში წასვლაზე დედამთილიც დაიყოლიოს, მაგრამ მოხუცი სამშობლოს დატოვებაზე კატეგორიულ უარს ამბობს. ამასობაში საზღვრებიც იკეტება და ჯოტო ცოლის აფხაზეთიდან გამოყვანას ვერაფრით ახერხებს.

მოგვიანებით ჯოტომ სცადა დიდი ხნის უნახავ დედასთან თავისი უმცროსი ვაჟი, მიხეილი გაეგზავნა, მაგრამ ამაოდ. მაიონა აფხაზეთში უახლოესი მეგობრებისა და ნათესავების მფარველობის ქვეშ დარჩა. ის წლების განმავლობაში თბილისსა და სოხუმს შორის დადიოდა იმ იმედით, რომ თავისი ძვირფასი ვაჟების, მიშასა და ძიკის (ვლადიმერის) შესახებ იქნებ რამე შეეტყო.

ჯოტოს უფროსი ვაჟი, მიხეილ შარვაშიძე, 1927 წელს სტამბოლიდან პარიზში ჩადის. მრავალი სხვა ემიგრანტის მსგავსად, მასაც თავიდან უწევს ცხოვრების დაწყება. პროფესიის უქონლობის გამო, იგი იძულებულია მუდმივად შეიცვალოს სამუშაო ადგილი. თავდაპირველად მას მონტე-კარლოში მცხოვრები ნათესავი, ცნობილი მხატვარი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე შარვაშიძე ეხმარება...

ფრანგული პოლიციის მონაცემებით, შემოსავლის წყაროებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, მიშა ხშირად პასუხობდა, რომ სახსრებს იღებდა ლონდონში გახსნილი საბანკო ანგარიშიდან და, ასევე მონტე-კარლოში მცხოვრები ნათესავი ეხმარებოდა. ამ უკანასკნელში ის, სავარაუდოდ, ალექსანდრე შარვაშიძეს გულისხმობდა. როგორც ჩანს, სწორედ მის სამეგობროში ეცნობა იგი მდიდარ ინგლისელ ქალს, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს, იოლანდა გუდეის (ქალიშვილობაში ჯექსონს), რომელიც 1904 წლის 2 ოქტომბერს ლონდონში დაიბადა.

იოლანდა მსახიობი იყო, მაგრამ დიდ სცენურ წარმატებას ვერ მიაღწია. 1933 წელს პარიზში ის ცოლად გაჰყვა მორის გუდეის, რომელიც მოგვიანებით ცნობილი კომპოზიტორი, ჯაზის შემსრულებელი და მუსიკალური არანჟირების ოსტატი გახდა. თუმცა, იოლანდა მას მალე გაეყარა.

იოლანდა საკმაოდ დიდი ქონების მფლობელი იყო. ის მონტე-კარლოში ყველაზე პრესტიჟულ ქუჩაზე, პრინცესა შარლოტას ბულვარზე ცხოვრობდა. მისმა მამამ, ცნობილმა ადვოკატმა, დიდძალი ქონება დააგროვა ინდოეთში, კალკუტაში, სადაც საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა და ინგლისს უმდიდრეს ადამიანად დაუბრუნდა.

ცნობილია ისიც, რომ იოლანდა მზად იყო ცოლად გაჰყოლოდა ცნობილ აფროამერიკელ მომღერალსა და მსახიობს, მოგვიანებით კი პოლიტიკურ მოღვაწეს, პოლ რობსონს, რომელსაც აშშ-ს მთავრობა კომუნისტური პარტიის წევრობის გამო დევნიდა. თუმცა ბოლო წუთში ინგლისელმა ქალმა გადაიფიქრა და სრულიად მოულოდნელად ცოლად მიხეილ შარვაშიძეს გაჰყვა.

1935 წლის ოქტომბერში იოლანდა და მიხეილი პარიზში ჩადიან და ფეშენებელურ ოტელ „სკრიბში“ ჩერდებიან. ახალდაქორწინებულთა პარიზში ჩამოსვლა მიხეილის მამის, ჯოტო შარვაშიძის გარდაცვალების თარიღს დაემთხვა. მიხეილი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ-ში, იტალიასა და ინგლისში გამგზავრების ნებართვის თხოვნით მიმართავს და 1936 წლის აპრილში ამ ნებართვას იღებს კიდეც. როგორც ჩანს, ამ დროისთვის მას იოლანდასთან ერთად ცხოვრება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. ქორწილი იმავე წელს, მონაკოში შედგა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში წყვილი გაიყარა. მიზეზი ალბათ იოლანდას ხასიათი იყო. თვითმხილველთა ცნობით, ის განებივრებული, არასტაბილური და ავადმყოფურად მგრძნობიარე ქალი იყო, რომელიც თავის წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობდა.

პოლ რობსონის ბიოგრაფი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს იოლანდას სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა მომღერალი, მაგრამ ერთი რამ უდავოა: საარქივო მასალების თანახმად, იოლანდა ოფიციალური გაყრის შემდეგაც კი ინარჩუნებდა მიშასთან კეთილ ურთიერთობას და ყოფილი ქმრის გვარს გარდაცვალებამდე ატარებდა.

იოლანდასთან განშორების შემდეგ მიშა ეცნობა ქალს, რომელიც მთელი ევროპის მაღალ საზოგადოებაში იყო ცნობილი. ეს გახლდათ პრუსიელი ბარონესა გიზელა ფონ კრიგერი. მისი ოჯახი ძველთაძველ პრუსიულ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. გიზელა ფონ კრიგერი 1913 წლის 28 აგვისტოს გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში დაიბადა. ბარონესა ფონ კრიგერს მოფერფლისფრო-ქერა თმა ჰქონდა და გარეგნობით ძალიან ჰგავდა გრეტა გარბოს და მარლენ დიტრიხს. ეს იყო ულამაზესი, შარმით სავსე, განათლებული და დახვეწილი ქალბატონი. ამავე დროს ელეგანტური, კეკლუცი და დეპრესიული. უყვარდა ძვირფასეულობა, ცხოვრობდა პარიზისა და კანის საუკეთესო ოტელებში. ბრწყინავდა ლონდონის საზოგადოებაში, გეორგ VI მეფედ კურთხევის დროს. იღებდა უძვირფასეს საჩუქრებს თაყვანისმცემლებისგან. ცნობილია, რომ ერთ-ერთი მათგანი ლა-მანშის სრუტეში საკუთარი თვითმფრინავიდან გადმოხტა იმის გამო, რომ გიზელამ ცოლობაზე უარი უთხრა.

გიზელა ფონ კრიგერი საფრანგეთში 1933-1939 წლებში ცხოვრობდა. გიზელა მეგობრობდა გერმანულ-ჰოლანდიური წარმოშობის ფინანსისტ ფრიც მანჰაიმერთან, რომელმაც 1938 წელს მას 7 მილიონ ფრანკად შეფასებული ვილა აჩუქა. ვილა ნიცასა და კანს შორის, ანტიბის კონცხზე მდებარეობდა, მაგრამ გიზელა იქ იშვიათად ჩადიოდა და კანის ოტელებში „კალრტონსა“ და „მარტინესში“ ცხოვრებას ამჯობინებდა.

მანჰაიმერი დიდძალი ქონების მფლობელი იყო. მას გერმანიის ყოფილი კაიზერის, ვილჰელმ II კერძო ინტერესების წარდგენაც კი ჰქონდა დავალებული. ფრანგული პოლიციის მონაცემებით მანჰაიმერმა იცოდა კრიგერისა და მიხეილ შარვაშიძის ახლო ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

ფრანგული პოლიციისავე ცნობებით, 1933 წლიდან მიხეილ შარვაშიძე რეგულარულად ჩერდებოდა ოტელ „რიცში“, სადაც 1937 წლიდან გიზელაც ცხოვრობდა. შესაძლოა, სწორედ აქ გაიცნო მიხეილმა კრიგერების ოჯახი. იმ დროს იგი ხშირად ჩადიოდა გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და შეერთებულ შტატებში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მიხეილის და გიზელას რომანი დასასრულს მიუახლოვდა. 1939 წლის 19 სექტემბერს კრიგერი უკვე ტოვებს პარიზს და ჯერ ნეიტრალურ მონაკოში, შემდეგ კი შვეიცარიაში მიემგზავრება, ვინაიდან არ სურს დაემორჩილოს რაიხში დაბრუნების შესახებ გერმანული ხელისუფლების ბრძანებებს. ომის მიწურულს გიზელა შვეიცარიის მოქალაქეობას იღებს. 1949 წელს ის ამერიკის მოქალაქეც გახდა, მაგრამ 1959 წელს კვლავ შვეიცარიაში დაბრუნდა.

სიცოცხლის ბოლოს გიზელა კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. გარდაიცვალა 1989 წელს, სრულ მარტოობაში, გულის შეტევით.

გიზელას კუთვნილი 1936 წლის Mercedes-Benz 540K შესაძლოა, ყველაზე საუკეთესო ავტომობილია, რომელიც ოდესმე ამ ფირმას გამოუშვია. იგი 2012 წელს სოთბის აუქციონზე რეკორდულ ფასად - 11 770 000 დოლარად გაიყიდა. აი, ასე ტრაგიკულად დასრულდა ბრწყინვალე ბარონესას, არისტოკრატი ქალის, გიზელა ფონ კრიგერის ცხოვრება. იგი მიხეილ შარვაშიძის ცხოვრებიდან ისევე გაქრა, როგორც გამოჩნდა.

1947 წელს მიხეილ შარვაშიძე პარიზის მე-9 ოლქში მდებარე კაბარე „დონ ჟუანის“ მმართველი ხდება. 50-იანი წლების დასაწყისში კი ავტომობილებით ვაჭრობს.

იგი ეცნობა და 1955 წლის აგვისტოში ცოლად ირთავს ანა ვალოვა-სორინას, ცნობილი მხატვრის საველი სორინის ქვრივს, რომელიც მხატვარ ალექსანდრე შარვაშიძესთან მეგობრობდა და თავს მის შვილობილად მიიჩნევდა. ანა ვალოვა-სორინა ტფილისში დაიბადა.

სორინა საფრანგეთის საპატიო მოქალაქე, აშშ-ს არმიის სამედიცინო სამსახურის ვეტერანი, უაღრესად განათლებული, ფერწერისა და მუსიკის კარგი მცოდნე და მოყვარული იყო; საფრანგეთის ყველაზე წარჩინებულ წრეებში ტრიალებდა და პირადად იცნობდა მონაკოს პრინც რენიე-III და მის მეუღლეს - პრინცესა გრეის კელის.

1956 წლის ზაფხულიდან დიდი ხნის განმავლობაში წყვილი აშშ-ში ცხოვრობდა. სამოციან წლებში მიშა შარვაშიძე და ანა სორინა ლაჟვარდოვან სანაპიროზე, ნიცის შემოგარენში მდებარე დაბა როკბრიუნ-კაპ-მარტენში ვილა „სულიკოში“ ცხოვრობდნენ. ვილა 1928 წელს Belle Époque-ის სტილში აშენდა და თავისი ორიგინალური სილუეტი დღემდე შეინარჩუნა.

მაღალი საზოგადოების იმდროინდელ ქრონიკებში მიხეილ შარვაშიძისა და ანა სორინას სახელები ხშირად მოიხსენიებოდა უწარჩინებულესი საზოგადოების - პრინც რენიესა და მისი მეუღლის, ყოფილი რუსეთის იმპერიის არისტოკრატიის, საბერძნეთის პრინც ანდრესა და დასავლეთ ევროპის არისტოკრატიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

პარიზი, 1957 წლის დეკემბერი. რამიშვილისა და სუხიშვილის ცნობილი ანსამბლის გასტროლები. ანსამბლის სოლისტი მარინა მხეიძე კონცერტის შემდეგ ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრას იხსენებს. მარინა მხეიძე - ივანე შარვაშიძის შვილიშვილი და ალექსანდრე მხეიძის და ვერა შარვაშიძის ქალიშვილი იყო. ალექსანდრე კი მერი შარვაშიძის ბიძაშვილი გახლდათ. მარინას სამუდამოდ დაამახსოვრდა მერისთან შეხვედრა: გულითადი, სიყვარულითა და სითბოთი სავსე... ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ არასოდეს უნახავთ მერი შარვაშიძე ასე აღელვებული...

ერთ-ერთ კონცერტზე სცენაზე გამოვიდა ლამაზი, ელეგანტური მამაკაცი, გასაოცრად ლურჯი თვალებით. იგი დამსწრეთ მიშა შარვაშიძედ გაეცნო და უამბო, რომ აფხაზეთში დედა დარჩა. შემდეგ კი თხოვნით მიმართა, მის პოვნაში დახმარებოდნენ. მარინა მხეიძე თავადს თხოვნის შესრულებას შეჰპირდა და სიტყვა არ გატეხა. მიშამ დედასთან ხშირი მიმოწერა დაიწყო, მაგრამ მათი შეხვედრა ვერ შედგა.

მაღალი, წარმოსადეგი, ელეგანტური, შარმით სავსე, უნატიფესი ქალბატონების რჩეული - ასეთად ახსოვთ მიხეილ შარვაშიძე ემიგრანტებს, რომლებიც მას პირადად იცნობდნენ.

მიხეილ ჯოტოს ძე შარვაშიძე გარდაიცვალა 1977 წელს, პარიზში. მას სამშობლოსთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. იმ შორეულ, მძიმე წლებშიც კი ახერხებდა ახლობლების წერილობით მოკითხვას. სხვა მრავალი ემიგრანტის მსგავსად, მასაც სტანჯავდა სამშობლოს ნოსტალგია, ახლობლების მონატრება; წამითაც არ ტოვებდა მარტოობის გრძნობა, ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის ნაპირებთან ოდესმე მიახლოების აუხდენელი ოცნება...

ლევილი. ჰაერში გაზაფხულის სურნელი ტრიალებს, ირგვლივ ყველაფერი იღვიძებს, სადღაც მიისწრაფის, სიცოცხლის სიხარულით ფეთქავს... ვდგავარ მიხეილ შარვაშიძის საფლავთან და ვფიქრობ ქართველი ემიგრანტების რთულ და ტრაგიკულ ბედზე...

აფხაზებმა - დიმიტრი (არზაყან) და ვლადიმერ (ლადი) ემუხვარებმა აქ, ლევილში, ძმათა სასაფლაოზე ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი. სხვა ბევრი ჩვენი თანამემამულის ძვლები კი მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული. ჯოტო შარვაშიძის ცხედარი ამჟამად თურქეთში, გალიპოლში განისვენებს, ვლადიმერ (ძიკი) და ივანე შარვაშიძეებისა - არგენტინაში, მიხეილ უბირიასი კი - პრაღაში. მათ საფლავთა ზუსტი ადგილსამყოფელი მეტწილად უცნობია...

ვემშვიდობები ლევილს. ვცდილობ დავიმახსოვრო ეს დღე. იოტისოდენა მწუხარებაც არ არის ჩემში. მხოლოდ ნათელ სევდას ვგრძნობ.

იოლანდა ჯეკსონ-შარვაშიძე

გიზელა ფონ კრიგერი

ანა ვალოვა-სორინა

მხატვარ ალექსანდრე შერვაშიძის „დაბრუნება"

მაია შონია

აფხაზი სცენოგრაფის, მხატვრის, წიგნის ილუსტრატორის, ხელოვნების კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე შერვაშიძის შესახებ საქართველოში, ალბათ, არც ისე ბევრი იციან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყველაზე ცნობილი აფხაზი მხატვარი ყირიმში, ფეოდოსიაში (1867-1968) დაიბადა და მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ძირითადად რუსეთსა და ევროპას დაუკავშირდა. ეს არის ადამიანი, რომლის სახელი რუსული და ევროპული თეატრის რეფორმატორთა (ვ. მეიერჰოლდი, ნ. ევრეინოვი, ს. დიაგილევი) შორის მოიხსენიება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ალექსანდრე შერვაშიძის დაბადებიდან 150 წლის იუბილისთვის მისი კატალოგი გამოსცა, რომელიც მხატვრის 300-მდე ნამუშევარს მოიცავს გრაფიკის, პორტრეტების, დეკორაციებისა და ესკიზების სახით. ნამუშევრები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდშია დაცული. მათი თავმოყრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა სწორედ მუზეუმთან თანამშრომლობის შედეგად შეძლო.

კატალოგის პრეზენტაცია ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია.** გამოცემა აუდიტორიას აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილემ **გიორგი პატაშურმა** წარუდგინა. მხატვრის შემოქმედებასა და ბიოგრაფიაზე ისაუბრა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა:** - წლების წინათ შეიქმნა კომისია, რათა ლევილში მცხოვრები ალექსანდრე შერვაშიძე მოენახულებინათ. კომისიის თავმჯდომარე იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ზურაბ ანჩაბაძე. დელეგაციამ მოხუცთა თავშესაფარში მისატანი ამანათი გაამზადა. როდესაც ლევილში ალექსანდრე შერვაშიძის საცხოვრებელს მიადგნენ, კარი გაიღო და მხატვარმა შორიდან იღრიალა, გადაყარეთ ყველაფერი, რაც მოგაქვთო. ასე ამაყად იცხოვრა მან სიცოცხლის ბოლომდე. ლევილი მოხუცთა თავშესაფარი არ იყო. მიხარია და მეამაყება, რომ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო ალექსანდრე შერვაშიძის დარ ადამიანებს არ ივიწყებს და ასეთ კატალოგებს უშვებს.მემაყება, რომ მეც ამ საქმის ნაწილი ვარ. ვისურვებდი, ხშირად ჰქონოდეს ჩვენს სამინისტროს ასეთი საამაყო დღეები.

ქართულმა საზოგადოებამ ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედება მაშინ გაიცნო, როდესაც თავად მხატვარმა 1958 წელს თავისი პირადი არქივი და 500-მდე ნამუშევარი საჩუქრად საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადასცა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ძმისშვილი გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სასცენო მხატვარი იყო (მან რევოლუციამდელ რუსეთში 50-მდე სპექტაკლი გააფორმა), მისი ესკიზებით იქმნებოდა კოსტიუმები, რომლითაც მსახიობები „მოდის საღამოებზე" გამოდიოდნენ. ის ასევე იყო ძალიან საინტერესო ხელოვნების კრიტიკოსი, რომელიც აქტიურად აქვეყნებდა სტატიებს პრესაში სეზანზე, ვან გოგზე და ა. შ.

მრავალმხრივ წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრების პარალელურად ალექსანდრე შერვაშიძე პეტერბურგელ ქართველთა ცხოვრებაშიც იყო ჩართული. 1918 წელს ის სოხუმში ჩავიდა და აქტიურად ჩაება სოხუმის არტისტული საზოგადოების საქმიანობაში. გახსნა თეატრალური კურსები, მოსწავლეებთან ერთად გამართა წარმოდგენები, დააარსა საბავშვო სტუდია, ხელმძღვანელობდა ხატვის წრეს, კითხულობდა ლექციებს ხელოვნებაზე. თუმცა სულ რაღაც ორ წელიწადში ის იძულებული გახდა ისევ ფეოდოსიაში, შემდეგ კი პარიზში გამგზავრებულიყო.

ალექსანდრე შერვაშიძე 1968 წელს მონტე-კარლოში გარდაიცვალა. 1985 წელს მხატვრის ნეშტი სოხუმში გადმოასვენეს. ამავე წელს თბილისში მისი პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი **ნუგზარ მგალობლიშვილი:** - ალექსანდრე შერვაშიძე მოღვაწეობდა პეტერბურგში, მიწვეული იყო პარიზში ცნობილი დიაგილევის თეატრში, სადაც სცენოგრაფიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ორი წელი ცხოვრობდა სოხუმში, სადაც შექმნა პირველი სამხატვრო და სასცენო სასწავლებელი. შემდეგ ისევ დაბრუნდა პარიზში. დაკრძალული იყო ლევილის რუსულ სასაფლაოზე. 1985 წელს მისი ნეშტის სოხუმში გადმოსვენებას მეც ვესწრებოდი. დაკრძალულია ფილარმონიის გვერდზე ძალიან ლამაზ ადგილას. სამწუხაროდ, დღეს მის საფლავზე გასვლის შესაძლებლობა არ გვაქვს. იმ პერიოდში მოღვაწე სხვა ამ რანგის მხატვარს საქართველოდან ვერც ვიხსენებ. დიდი მადლობა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, რომ ეს ალბომი გამოსცა. ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, რადგან ამ ადამიანის შესახებ ბევრმა არაფერი იცის.

აფხაზეთის მხატვართა კავშირს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

მაია შონია

აფხაზეთის მხატვართა კავშირს ახალი თავმჯდომარე ჰყავს - დავით ბაძაღუა. ის არაერთი პერსონალური გამოფენის ავტორი და ჯგუფური გამოფენის მონაწილეა. გარდა ამისა, დავით ბაძაღუა მაძიებელი ბუნების ადამიანია, მას ეკუთვნის ისეთი იდეები, რომლებმაც აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების შემოქმედება ბევრგან ღირსეულად წარმოაჩინა. ეს ბადებს რწმენას, რომ მხატვარი დავით ბაძაღუა ამ კავშირს ღირსეულად გაუძღვება.

აფხაზეთის მხატვართა კავშირი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „ცოცხალი ორგანიზმია" და აფხაზეთიდან დევნილი მხატვრები ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ხელოვანები არიან საქართველოში. მათი წარმატებული გამოფენები წლების განმავლობაში არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც იმართებოდა. წარმატების საიდუმლო კი იმაშია, რომ მათი შემოქმედება მუდმივად ვითარდება, იხვეწება და ახლის ძიებაშია. მართალია, აფხაზეთი მათი შემოქმედების ძირითადი თემაა, მაგრამ სხვა თემებსაც საინტერესოდ წარმოაჩენენ. დავით ბაძაღუას არჩევით მისი კოლეგები მიიჩნევენ, რომ ის ამ „ცოცხალი ორგანიზმის" კიდევ უფრო ძლიერი მამოძრავებელი ძალა იქნება.

თავად **დავით ბაძაღუა** კოლეგებს მადლობას უხდის გამოცხადებული ნდობისათვის და უახლოეს გეგმებზე საუბრობს:

- მადლობა საქართველოს მხატვართა კავშირს - მის თავმჯდომარეს ბატონ გურამ ცერცვაძეს, აჭარისა და ქუთაისის მხატვართა კავშირებს, აფხაზეთის მკვიდრთ ამგვარი ნდობისათვის! იდეა ნამდვილად ბევრი მაქვს. უახლოეს მომავალში ვაპირებთ, მოვაწყოთ „პლენერი", რომელიც ჩვენი მხატვრების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობას, შეხვედრებს, საუბრებს და ერთობლივ შემოქმედებით პროცესს გულისხმობს. „პლენერი" გამოფენით და ალბომის გამოცემით დამთავრდება. საერთოდ, მხატვრები ნახატებს სახელოსნოებში ქმნიან და ხშირად იქედან ვეღარ გამოდიან. სწორედ ამიტომაა აუცილებელი „პლენერის" ჩატარება. კიდევ უფრო გრანდიოზული გეგმა გვაქვს, ენგურის ხიდზე დიდი, ისტორიული ტილოს შექმნა, რომელსაც ქართველი და უცხოელი მხატვრები ერთად დახატავენ. პროექტში სულ ასი მხატვარი მიიღებს მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით მოლაპარაკებები მიმდინარეობს და დეტალებს უახლოეს მომავალში გავაცნობთ საზოგადოებას. მოკლედ, წინ ბევრი საინტერესო ამბავი გველოდება.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო წარმატებას უსურვებს დავით ბაძაღუას და იმედს გამოთქვამს, რომ ის მომავალშიც არაერთი ორიგინალური იდეითა და საინტერესო გამოფენით დაამახსოვრებს თავს საზოგადოებას.

გამოძახილი

ევროპული არისტოკრატიის ჭეშმარიტი წარმომადგენელი

„ჩვენი ხელოვნების მთელი ისტორია, არის პიროვნების, ანუ ინდივიდუალიზმის პრინციპების ბრძოლა რთულად გასაგებ ტრადიციასთან, განახლების პრინციპისა – კოლექტივიზმის შეუწყნარებელ კონსერვატიზმთან... პიროვნება, შესაბამისად, ისეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელოვნებაში, როგორც ტრადიცია... ტრადიცია იმ გზას მიუთითებს, რომელსაც უნდა მისდიო; იგი ხალხის ნებისა და სურვილის გამომხატველია. პიროვნება მას ფორმას აძლევს.

იგი იხილავს ტრადიციას. ტრადიცია პიროვნებაზე გავლით ცოცხლობს", – ეს სიტყვები აფხაზ სცენოგრაფს, მხატვარსა და ილუსტრატორს, ხელოვნების კრიტიკოსს ალექსანდრე შერვაშიძეს ეკუთვნის; ადამიანს, რომლის უამრავ ღირსებათა შორის უმთავრესი მისი სამშობლოსადმი დამოკიდებულება და პასუხისმგებლობაა; ის, რომ ალექსანდრე შერვაშიძე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძმის, კონსტანტინეს ვაჟი გახლდათ და რომ ევროპელები მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, დეტალებია, მნიშვნელოვანი, და მაინც დეტალები. სალვადორ დალი – ევროპული არისტოკრატიის ჭეშმარიტ წარმომადგენელს უწოდებს პრინც ალექსანდრე შერვაშიძეს, ქორეოგრაფი სერჟ ლიფარი კი დასავლეთის თეატრალურ-მხატვრული რევოლუციის თანამონაწილედ მიიჩნევს. უმთავრესი კი ის არის, რომ წარმატებულმა სცენოგრაფმა 1918 წელს, შეიძლება ითქვას, აწყობილი ცხოვრება მიატოვა და აფხაზეთში დაბრუნდა (რუსეთში მომხდარ ოქტომბრის გადატრიალებას ევროპაში არ გაექცა); დაბრუნდა, რომ მშობლიური მხარე ევროპულ კულტურასთან ეზიარებინა. ამის უმთავრეს მიზეზად გიორგი შერვაშიძის გარდაცვალება იქცა, მიზნად კი ახალგაზრდების ევროპასთან დაახლოება განათლების მეშვეობით.

მისი თაოსნობით სოხუმში გაიხსნა თეატრალური კურსები, საბავშვო სტუდია ქალთა გიმნაზიაში, ხელმძღვანელობდა ხატვის წრეს და ატარებდა საგანმანათლებლო ლექციებს საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებში. და ეს მხოლოდ 2 წელიწადში. სამწუხაროდ, პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა, დაეტოვებინა ჯერ აფხაზეთი და შემდეგ ქვეყანა, რომლის წინაშე პასუხისმგებლობა ვერც დრომ, ვერც დაშორებამ და ვერც ევროპაში წარმატებულმა კარიერამ ვერ გაუნელა. გარდაცვალებამდე 10 წლით ადრე, 90 წლის ასაკში უსახსროდ დარჩენილმა, მოხუცებულთა პანსიონატს თავშეფარებულმა ალექსანდრე შერვაშიძეაჩბამ 500-მდე ნამუშევარი და პირადი არქივი საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადასცა საჩუქრად.

რამ გამახსენა დღეს პრინცი შერვაშიძე? რამ და ჩემი კოლეგის (მაია შონიას - რედ.) სამუშაო მაგიდაზე აღმოჩენილმა ალბომმა, რომელიც 2016 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გამოსცა. გამახსენდა, თუმცა მიზეზი სხვა რამ გახლავთ – „ევროპული საქართველო". – ეს კი ორმხრივ ურთიერთობებს ნიშნავს და მინდა გითხრათ, რომ ამ ურთიერთობებში პირნათელნი ვართ და სულაც არ შევდივართ ევროპაში ხელცარიელნი. ბებერ ევროპას ბევრმა ქართველმა დაუბერა ახალი და განსხვავებული სიო.

ნინო გედენიძე,
სპეციალურად საინფორმაციო სააგენტო IDNews.ge - სთვის.

ლერი ჭანტურია: მხატვრობა - ფერთა სიჩუმე,

ნატო კორსანტია

„ხელოვანის დაოსტატებას დიდი დრო და გარჯა სჭირდება. როგორც პიანისტმა დღეში ხუთი საათი მაინც თუ არ დაუკრა, თითები არ დაემორჩილება, მხატვარიც, ხელი თუ არა აქვს გაწაფული, ფასეულს ვერაფერს შექმნის. დღეს ჩემი მთავარი ამოცანაა, საკუთარ თავს ვაჯობო და ჩემი ერთი ნამუშევარი მეორეს არ ჰგავდეს“, - ამბობს აბსტრაქციონისტი მხატვარი ლერი ჭანტურია.

ზღვა (ზოგადად, წყალი) მისი, როგორც მორიელის, სტიქიაა, მაგრამ ზღვის ქალაქიდან გამოსვლის მერე, ზღვას თითქოს გაურბის და საკუთარ თავსაც კი უმალავს, რომ ეს ასეა. ეს ერთგვარი პროტესტიც არის და საკუთარი თავის დანდობაც, როგორ იცხოვროს ამ აღიარების შემდეგ. თუმცა სოხუმის ხედებთან ერთად ზღვის ფერებსაც ისაკლისებს და ფიქრობს, რომ სოხუმში, სადაც „ისეთი ღრმა ჩრდილია, როგორიც სხვაგან არსად არის“... მისი ნამუშევრებიც სულ სხვანაირი იქნებოდა.

ლერი ჭანტურია აბსტრაქციონიზმმა სკოლის წლებიდანვე გაიტაცა. ამ მხრივ მასზე ერთგვარი გავლენა უთუოდ ბიძამ და მასწავლებელმა, აბსტრაქციონისტმა მოქანდაკემ კარლო გრიგოლიამ მოახდინა. ცხოვრების სტილიც თითქოს მისგან ერგო მემკვიდრეობად, იყოს თავისთვის, უხმაუროდ, იმ პრინციპის ერთგული, რომ „მხატვრობა ფერთა სიჩუმეა, საიდუმლო დუმილშია, ადამიანს კი დღეს, ყველაზე მეტად დუმილი აკლია“.

ლერი ჭანტურია 1996 წელს ამერიკაში აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჯექსონ პოლაკის პრემიით დააჯილდოვეს. ის ოკეანის გაღმა არა მხოლოდ შეამჩნიეს, არამედ აღიარეს და მას სოლიდური ფულადი ჯილდო გადასცეს... მიაჩნია, რომ მაშინ კომუნისტური მაფიის აბლაბუდა პირველად გაარღვია, თუმცა ფიზიკურად, თორემ სულიერად ის დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ სოხუმში ჰქონდა გადალახული. მაშინ ამ აღიარებით გარკვეულწილ თავისუფლების სხვა ხარისხიკენ უბიძგეს, არჩევანის საშუალებაც მისცეს: ოკეანის გაღმა დარჩებოდა თუ საქართველოში დაბრუნდებოდა. მას კი არც უჭოჭმანია, ისე დაბრუნდა, რადგან აქაც თავისუფლად მიაჩნდა თავი...

ყოველთვის თავისთვის იყო, არასოდეს ყოფილა დამოკიდებული ვინმეზე. არც იმაზე ფიქრს დაუფრთხია როდესმე, თანამედროვენი გაუგებდნენ თუ არა, მიუხედავად იმისა, რომ მიაჩნია: თუ კაცმა ვასილ კანდინსკი, ჟან დიუბუფე, ჯექსონ პოლაკი... არ იცის, მაშინ ვერც მის ნამუშევრებს გაიგებს...

ლერი ჭანტურია არაერთი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენის მონაწილეა საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. მისი ნამუშევრებიც არაერთი მუზეუმისა თუ კერძო კოლექციონერის საკუთრებაა. წლეულს ლერი ჭანტურია იუბილარია და სწორედ წინასაიუბილეოდ გთავაზობთ მასთან საუბარს:



- ბატონო ლერი, საიდან დავიწყოთ?..

- მე და ჩემი მეუღლე მარინა ყოველ საღამოს აივანზე ჩამოვსხდებით ხოლმე (დიღომში ვცხოვრობთ) და შორეულ მთებს გავყურებთ. მარადთოვლიანი კავკასიონის ფონზე მთებს ცისფერი გადაჰკრავთ. სასწაულია, როგორ იცვლიან ფერს და როგორ ჩერდებიან ღრუბლები მათთან მიახლოებისას.

- სოხუმში, ბუნებრივია, სულ სხვა ხედები და ფერები ჩანდა თქვენი აივნიდან. მათგან ყველაზე მეტად რას ისაკლისებთ?

- რა თქმა უნდა, სოხუმის ფერები მაკლია. იქ ცივთან ერთად არის თბილი ფერების ნაირსახეობა - უბრალოდ თბილი და გამოკვეთილად თბილი. აქ უფრო ნაცრისფერი ჭარბობს, მით უმეტეს, ზამთარში.

- და ზღვისფერი არ გაკლიათ?

- ქართველებს ცოტა არ იყოს, განსხვავებული დამოკიდებულება გვაქვს ზღვასთან, მაინცდამაინც არ გვიყვარს ზღვა. ალბათ, იმიტომაც, რომ ისტორიულ მეხსიერებას შემორჩა, თუ რა უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას ზღვამ - ოქროს საწმისის გატაცებას ვგულისხმობ. მე ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს, არც ძალიან მიყვარს და არც ძალიან გულგრილი ვარ მის მიმართ.

თუმცა, ზღვის ფერები აქ ნამდვილად დამაკლდა, კონტრასტული ფერები - მწვანე, ცისფერი, ლურჯი... თბილი, ძალიან თბილი, იმის მიხედვით, მზის განათება როგორ ეცემოდა. აფხაზეთში კი ისეთი განათებაა, რომელზეც ცნობილი ავანგარდისტი მხატვარი ვარვარა ბუბნოვა ამბობდა: „ასეთი ღრმა ჩრდილი არსად არ არისო“... ჩრდილს ფერწერაში საერთოდ უზარმაზარი ძალა აქვს, მაგრამ ამაში სრულად ჩაწვდომას მთელი ცხოვრება სჭირდება, ზოგჯერ არც ეყოფა. მე, მაგალითად, აფხაზეთის ომის დროს, წინა ხაზზე სამი ფრესკა დავწერე. მაშინ 45-46 წლის ვიყავი და ღმერთს ვეხვეწებოდი: - ერთი ოცი წელი კიდევ მომეცი, რომ ჩემი სიტყვა ვთქვა ხელოვნებაში-მეთქი. მას შემდეგ 23 წელი გავიდა, მაგრამ ეს დროც არ მეყო.

- თქვენ რომ ქართველების ზღვასთან დამოკიდებულებაზე ლაპარაკობდით, მე ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი, გერმანელი არტურ ლაისტის სიტყვები გამახსენდა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მშვენიერი ზღვის სანაპიროები აქვს, ქართველებს თითქოს არ უყვართ ზღვა, ქართულ ლიტერატურაში ზღვის თემატიკა არ ჩანსო.

ბატონო ლერი, თქვენი მეუღლე, ქალბატონი მარინა ამბობს, რომ სინამდვილეში ზღვა ძალიან გიყვარდათ. ისე შორს შეცურდებოდით თურმე, რომ ნაპირიდან წერტილივით მოჩანდით. ზღვას თითქოს აფხაზეთის მერე შემოსწყერით...

- რადგან ასე წარიმართა ჩვენი საუბარი, ერთ ამბავს მოგიყვებით: სოხუმში „ზღვის კლუბი“ შევქმენით და მის რიგებში ვიღებდით მხოლოდ იმას, ვისაც ზღვაში თვალმიუწვდომელ სიღრმეში შესვლა შეეძლო. ამ კლუბის წევრების უმეტესობა ვაჟა-ფშაველას და ჩანბას ქუჩის ბიჭები იყვნენ. ისინი ალბათ, ცხოვრების ამგვარი წესის გამოც ჩამოყალიბდნენ ჭეშმარიტ ვაჟკაცებად, პატრიოტებად, ინტელექტუალებად...

- საინტერესოა, როგორ მოხვედით მხატვრობაში?

- ეს ძალიან საინტერესო ისტორიაა: დედას ახალგაზრდობაში უნახავს ერთი ამერიკული ფილმი, რომლის მთავარი გმირი ყოფილა ინჟინერი ლერი. დედას ისე მოსწონებია ეს გმირი, რომ უთქვამს, ბიჭი თუ შემეძინება, ლერი უნდა დავარქვაო. დამარქვა კიდეც მეგრელ ჭანტურიას ინგლისური სახელი - ლერი. მერე ლერი ინჟინერი უნდა გამოვიდესო. არადა, მე ხატვით ვიყავი გატაცებული. მათემატიკის ნიჭი არ მქონდა, დედა კი ხატვას მიკრძალავდა. ამ დროს სოხუმში ჩამოვიდა მოქანდაკე ნიკოლოზ (კოლია) კანდელაკი, რომელიც მატვეევის მოსწავლე იყო. ის იყო ასევე, ცნობილი მოქანდაკის, კარლო გრიგოლიას - დედაჩემის ძმის მეგობარი. კარლო გრიგოლია იყო თანამედროვე აბსტრაქტული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. ბიძაჩემმა კარლომ კოლია კანდელაკს ჩემზე უთხრა: ნიჭიერი ბიჭია, კარგად ხატავსო. მაშინ ბატონმა კოლიამ, აბა, მე დამხატეო, მითხრა. დავხატე, მან კი ნახატს დაავლო ხელი, სოხუმის სამხატვრო სკოლის დირექტორი ნიკოლოზ თაბუკაშვილი ჩემი მეგობარიაო და მასთან, სამხატვრო სკოლაში წამიყვანა. მაშინ 14 წლის ვიყავი და... ასე დავამთავრე ერთდროულად სამხატვრო სკოლა და ჩვეულებრივი სკოლა.

მერე თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მინა-კერამიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. მესამე კურსზე ფაკულტეტი ორად გაიყო, მე მინაზე გადავედი, რადგან ამ მიმართულებას მეტ თავისუფლებას აძლევდნენ (აბა, ვიტრაჟი რეალისტური ვის გაუგია?) და თანაც უკვე ვმუშაობდი აბსტრაქციაში. ცხადია, მაშინ აკადემიაშიც ბევრი კონსერვატორი პედაგოგი ასწავლიდა, მაგრამ მე გამიმართლა და ჩემი პედაგოგი მხატვარი დავით ციციშვილი გახდა. ის ხშირად გვესაუბრებოდა აბსტრაქციაზე, რითაც ჩვენში თავისუფლებისკენ სწრაფვას უფრო მეტად აღვივებდა.

- რა არის ის სათქმელი, რომლის გადმოცემაც მაინცდამაინც ამ ფორმით - აბსტრაქციის ფორმით გინდათ?

- ფიგურალურად ვიტყვი: ალბათ, ყველას უნახავს სურათი, როცა შემოდგომაზე, ტყეში შედიხარ, ქარი დაუბერავს და ცვივა ულამაზესი ფოთლები, რომლებსაც ქარბორბალა ჰაერში დაატრიალებს. თქვენ ამ დროს ვერ არჩევთ ვერანაირ ფორმას, ქარის სიჩქარე არ გაძლევთ ამის საშუალებას, მაგრამ ფერს ხომ ხედავთ. ჩემი კონცეფციაც ამაში მდგომარეობს: ყველაფრის თემა ფერი იყოს, ოღონდ, ფერი დინამიკაში. ამ დროს ფორმა მიისწრაფვის ფერისკენ და ფერი მიისწრაფვის ფორმისკენ. ორმხრივი დინამიკაა, იგივე გეომეტრიული აბსტრაქცია დინამიკაში, რაც ვიბრაციას იწვევს და ქაოსის ფორმას იძენს (ცნობილ რუს მხატვარს ვასილ კანდინსკის ამაზე მთელი ტრაქტატი აქვს დაწერილი.) ამასთანავე, მინდა შევინარჩუნო ძველი ტრადიციული ფორმა, როგორც ამას აკეთებდნენ, მაგალითად, ტიციანი, ვერონეზე, ელ გრეკო. ისინი ნახატს ჯერ ქვედა ფენას ადებდნენ, რაც ამდიდრებდა გამოხატვის საშუალებებს. ამიტომაც კლასიკური განათლება, რაც მაქვს, ხელს არ მიშლის აბსტრაქციის კეთებაში, პირიქით, მეხმარება.

- ფერებისა და ფორმების თავბრუდამხვევ კორიანტელში რომელიმე ფერს ხომ არ ანიჭებთ უპირატესობას?

- ამის თქმა გამიჭირდება. მხატვრობა არ არის ბუნების რეალური ფერების და ფორმების გამოსახვა. რაც უფრო ზუსტად გამოსახავ მათ, მით უფრო კარგი მხატვარი ვერ იქნები. ფიროსმანი რასაც ხატავდა, თითქოს ბუნებრივი არ იყო, მაგრამ მას ყველაზე შთამბეჭდავი ნატურმორტები აქვს. მხატვრობა „ეკრანთა თეორიას“ ეფუძნება. რას ნიშნავს ეს? ის, რაც მე დავხატე, ჩემს შინაგან სამყაროში გადამუშავდა, ახლა შენ მოგაწოდე და შეგახსენე ის, რაც შენც გინახავს და იცი. შენ ის იცანი და ამიტომაცაა შენთვისაც გასაგები და მისაღები. თანაც მას არა აქვს არც რელიგიური და არც იდეოლოგიური დოქტრინა.

იმპრესიონიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ემილ ზოლამ დაწერა სწორედ „ეკრანთა თეორია“ - იგივე „ეკრანის პრინციპი“. როცა მე ვღებულობ ამა თუ იმ რეალობას, ეს ახდენს ჩემზე შთაბეჭდილებას და მას გადმოვცემ. ამ მიმდინარეობამ ეს სახელწოდება მიიღო იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის კლოდ მონეს ნახატისგან, რომელსაც მან „მზის ამოსვლა, შთაბეჭდილება“ დაარქვა. მანამდე ისინი თავიანთ თავს „თავისუფლებს“ უწოდებდნენ. მოუხდათ კიდეც ეს სახელი.

- როგორ ხვდებოდა თქვენს ამგვარ სწრაფვას თავისუფლებისკენ საზოგადოება თბილისში, მერე სოხუმში, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდით?

- სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში (1965 – 1970წ.წ.) იქ არსებობდა ინტელექტუალთა კლუბი, რომელშიც ჩვენ - სოხუმელებიც ვიყავით გაერთიანებული. ჩვენ შორის იყო ვალერი არქანიაც, რომელსაც ეუბნებოდნენ, შენ სეზანივით ხატავო. ამიტომაც ძალიან მიხარია, რომ მისი სახელი დაერქვა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ არტ გალერეას.

ერთხელაც თანამოაზრეებმა გადავწყვიტეთ თბილისში მოდერნისტული ხელოვნების გამოფენა გაგვეკეთებინა. ვისთან არ მივედით ამ იდეით, მაგრამ მხარდაჭერა ვერავინ გაბედა და გამოფენაც არ შედგა. მაშინ ჩავედით სოხუმში და შევეცადეთ, იქ შეგვესხა ფრთები ამ იდეისთვის.

ვალერი არქანია ძალიან დიპლომატი კაცი იყო, ის აფხაზებთანაც მეგობრობდა და გამოფენაში მონაწილეობაზე ისინიც დაიყოლია. მალე სოხუმში პედაგოგიურ ინსტიტუტში მოვაწყვეთ ავანგარდისტული გამოფენა, რომელშიც ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები ერთად ვმონაწილეობდით. უფრო მეტნი ქართველები ვიყავით (იმ დროისათვის მოსკოვში ჯერ კიდევ არ იყო გამართული ეგრეთ წოდებული „ბულდოზერების“ გამოფენა). ჩვენი გამოფენა დაათვალიერა ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა ზურაბ ანჩაბაძემ და ძალიან კარგიაო მოგვიწონა. ინსტიტუტშივე გაიმართა გამოფენის განხილვა, სადაც ძალიან გვაქებს. ვალერის ვეუბნები, აშკარად, რაღაც აქვთ ჩაფიქრებული-მეთქი. მართლაც, მალე საქმეში „კგბ“ ჩაერთო. ეს ის პერიოდია, როცა აფხაზებს სოხუმში არც ბინები აქვთ და არც სახელოსნოები და არც მხატვართა კავშირის წევრები არიან. ამის შემდეგ თანდათან ვითარება შეიცვალა და აფხაზ მხატვრებს ბინებიც მისცეს და სახელოსნოებიც, მხატვართა კავშირშიც მიიღეს, აშკარად გაგვმიჯნეს ერთმანეთისგან.

ამის შემდეგ დაიბარეს „ზემოთ“ ჩვენი პედაგოგი კოლია თაბუკაშვილი, შენი მოწაფეები რას ჩადიანო და ნოტაცია წაუკითხეს. კოლიამ ჩვენ დაგვიბარა და გვითხრა, თქვენს გამო ტყავი გამაძვრეს, მაგრამ მათ დაკრულზე ცეკვას მაინც არ ვაპირებ და მოდით, ჩვენ სოხუმში გავაკეთოთ ის, რაც ელენე ახვლედიანმა თბილისში გააკეთაო. ძველი თბილისის აღორძინების იდეა ხომ ელენე ახვლედიანს ეკუთვნოდა. კოლიამ თქვა, მოდით, შევქმნათ ჯგუფი და აფხაზეთში არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები დავხატოთო. კოლიას ეს უკვე არ აპატიეს და პენსიაზე გაუშვეს. აი, უკვე მაშინ იყო ჩადებული ნაღმი, რომელსაც ქართველები და აფხაზები ერთმანეთისგან უნდა გაეთიშა. 1971 წელი იდგა.

- 1996 წელს თქვენ ამერიკაში აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი დამაარსებლის ჯექსონ პოლაკის პრემიით დაგაჯილდოვეს. როგორ მოხდა ეს ამბავი?

- ეს იყო ქ. პროვიდენსში, როდ აილენდის შტატში, რომელიც ნიუ-იორკთან ახლოს მდებარეობს. მე იქ სიმპოზიუმზე ჩავედი და ამ სიმპოზიუმმა ეს პრემია მომიტანა. მაშინ პირველად გავარღვიე კომუნისტური მაფიის აბლაბუდა, რომელიც აქ ჯერაც ტრიალებდა.

დუმილის საიდუმლო

- მაგრამ თქვენი მონათხრობისამებრ, ეს აბლაბუდა ხომ ჯერ კიდევ სოხუმში ცხოვრებისას გაარღვიეთ?

- მაშინ მხოლოდ სულიერად გავარღვიე.

- თქვენ ნამუშევრებს სახელებს არ არქმევთ. რატომ?

- დამთვალიერებელმა რეალობა არ უნდა ეძებოს ნახატში, ისევე როგორც მუსიკაში. „ოდოია“ და „ჩაკრულო“ სულ რამდენიმე სიტყვაზეა აგებული. ან ვის სჭირდება მათი მოსმენისას სიტყვები. მხატვრებს ეკითხებიან, ამ ნამუშევარში რისი თქმა გინდაო. ლიტერატორი ხომ არ ვარ, ეს რომ ვთქვა. ნამუშევარს სახელი თუ დაარქვი, გამოდის, რომ ლიტერატურა, ფილოსოფია შეგაქვს მასში. ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, თავისთავად არის ლიტერატურა და ხელოვნება. აბსტრაქცია კი ეს არის „საზღვრებს მიღმა“ გასვლა.

ეს მედიტაციაა, სიჩუმის ფორმაა. მხატვრობა საერთოდ, ფერთა სიჩუმეა, საიდუმლო არის სიჩუმეში, დუმილში. ადამიანს დღეს აკლია დუმილი. ინფორმაციამ წაგვლეკა. გარდა ამისა, ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს სიკეთეს. დღეს კი პირიქით, ხელოვნების დეჰუმანიზაცია ხდება. ჩვენ ხელოვნებას ისევ უნდა დავუბრუნოთ ჰუმანიზმის მისია. ის მისია, რისთვისაც გაჩნდა. დღევანდელი ცივილიზაცია კონფლიქტშია კულტურასთან, აშკარად ემიჯნება მას. ის, რაც დღეს გვაქვს, ცივილიზაცია კი არა, ანტიცივილიზაციაა, ადამიანს სული გამოაცალა და რობოტი გახადა. მაქვს კონცეფცია, სადაც ვამბობ, რომ უნდა შეიქმნას გარემო, მუზეუმი ღია ცის ქვეშ, (კოლონადა), სადაც გამოიფინება ხელოვნების ნიმუშები და შეიქმნება არქიტექტურული, მონუმენტური და დეკორატიული ხელოვნების ჰარმონიული სინთეზი.

- უფრო კონკრეტულად, რას გულისხმობს ეს ჩანაფიქრი?

- ადამიანები ივლიან ამ ულამაზეს გარემოში, რომელსაც თანდათან ისე შეეჩვევიან, რომ მათი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდება. ისევე ბუნებრივი, როგორც ის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ულამაზეს ქვეყანაში, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ.

- სად წარმოგიდგენიათ ამგვარი მუზეუმის შექმნა შესაძლებლად?

- რამდენიმე ვერსია მაქვს, მათ შორის მაგალითად, სოხუმის სანაპიროზე. იქ, დრამატული თეატრის შენობის წინ ხომ არის ფასკუნჯების (სფინქსების) ხეივანი. ახლა იქ უნდა შეიქმნას სკულპტურების ხეივანი. მთელ სანაპიროზე უნდა დაიდგას ქანდაკებები. როცა კარლო გრიგოლია სოხუმში ჩამოდიოდა და ჩვენ ამ თემაზე ვბჭობდით, ის მეუბნებოდა, რას ელოდები, შენ თვითონ დაიწყე ქანდაკებების შექმნაო. მაშინ მხოლოდ ფერწერაში ვმუშაობდი. ამის შემდეგ დავიწყე ქანდაკებების კეთება და მათი ნაწილი მზად მაქვს.

- რამდენად ჰგავს ან განსხვავდება თქვენთვის ფერწერაში და ქანდაკებაში მუშაობა?

- ნახატი არის ფუძე ქანდაკების. ბერძნულ ქანდაკებას საფუძვლად უდევს რეალური სწორი ფიგურა. აბსტრაქციას კი რეალურ ფიგურას ხომ ვერ დაუდებ ფუძედ? მე ვმუშაობ მრგვალ ქანდაკებაზე, რომელიც არც ერთი სკოლიდან არ არის გადმოქარგული. ის მხოლოდ ჩვენს ეროვნულ საწყისს ეყრდნობა. ფერწერასა და ქანდაკებას სხვადასხვა სპეციფიკა აქვს, თუ ნახატს ვაკეთებ, ქანდაკებაზე ვერ ვმუშაობ და პირიქით.

- შეიძლება, ბევრს უცნაურად მოეჩვენოს, რომ კომუნიკაციების განვითარების ეპოქაში თქვენ არ გაქვთ მობილური ტელეფონი. რითი ხსნით ამას?

- მართალია, არ მაქვს მობილური ტელეფონი და სხვათა შორის, არც კომპიუტერი. ჩემთვის ორივე იმ აბლაბუდის ქსელის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც გახვეული ვართ. ეს ყველაფერი მხოლოდ ბარიერებია ხელოვანისთვის და მეც თავიდან ვიშორებ ყველაფერს, რაც მხატვრობაში ხელს მიშლის. მაქვს ჩემი სამყარო, რომელშიც ყველას არ ვუშვებ. ურთიერთობების მოყვარული ადამიანი კი ვარ, მაგრამ ჩემი შემოქმედება განმარტოებას ითხოვს.

- თქვენ ხშირად ახსენებთ კარლო გრიგოლიას - თქვენს ბიძასა და მასწავლებელს, კიდევ უფრო დაწვრილებით ხომ არ მოგვითხრობთ მასზე, მასთან ურთიერთობაზე?

- კარლო გრიგოლია იყო თანამედროვე აბსტრაქტული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, ამიტომაც საბჭოთა რეჟიმისთვის მიუღებელი პიროვნება. ის თავიდან მუშაობდა ცნობილი ქართველი მოქანდაკის, ნიკოლოზ კანდელაკის სტუდიაში. 1992 წლიდან კარლო გრიგოლია ვაშინგტონის თანამედროვე ქანდაკების ცენტრის წევრია. ის არაერთხელ მიიწვიეს ამ ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ერთხელაც ვერ გაემგზავრა. 1996 წელს თბილისში შეიქმნა საქართველოს ავნაგარდისტ მხატვართა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც გახდა კარლო გრიგოლია, მაგრამ ასოციაცია ერთი გამოფენის შემდეგ დაიშალა.

კარლო გრიგოლია 1990 წელს გარდაიცვალა. ის ყოველთვის ნატრობდა, სეზანივით და მიქელანჯელოსავით მინდა გარდავიცვალოო. ეს მხატვრები ხატვის პროცესში გარდაიცვალნენ. აუხდა ნატვრა კარლო გრიგოლიას, მასაც სწორედ თავის სახელოსნოში ეწვია სიკვდილი.

- სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება კარლო გრიგოლიას სათანადოდ არ იცნობს

- გეთანხმებით და ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მე და ჩემს ბიძაშვილს გვაქვს ერთი იდეა, კარლო გრიგოლიას სახელოსნოში თვეში ერთხელ მოვაწყოთ ღია კარის დღე. შევიკრიბოთ ხოლმე კარლო გრიგოლიას სახელოსნოში ჭიქა ჩაისთან, ისე როგორც ფიროსმანი ოცნებობდა ამაზე და ვისაუბროთ ხელოვნებაზე, კარლოს შემოქმედებაზე, ათას სხვა საჭირბოროტო თემაზე. ერთი თემა, რაზეც უკვე ვიცი, რომ აქ ვისაუბრებ, აფხაზეთია. ხშირად ამბობენ, აფხაზებისთვის ეკონომიკურად მომხიბლავები უნდა ვიყოთო, ჩემი აზრით, კულტურულად მომხიბლავებიც უნდა ვიყოთ. კულტურას კი ქმნის ინდივიდი და არა რომელიმე ინსტიტუტი. ოღონდ, კულტურა არ უნდა იყოს პროვინციული.

კარლო გრიგოლიას სახელოსნოში მინდა ვისაუბროთ აფხაზეთზე, როგორც კულტურულ ცენტრზე. მინდა, აფხაზეთი შევაყვაროთ ხალხს, არა აქვს მნიშვნელობა, აფხაზეთიდან იქნებიან ისინი თუ არა. ამასთანავე, მიმაჩნია, რომ ჩვენს სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კულტურული კონცეფცია და ყველამ ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

ჩემი წარმოდგენით, აფხაზეთი უზარმაზარი სურათია, შედევრი, რომელიც გარემოებათა გამო, ამჟამად დაჭრილ-დაქუცმაცებულია. ჩვენ ახლა ყველას თითქოს ამ შედევრის პატარა ნაგლეჯი გვიკავია ხელთ და უნდა შევეცადოთ, რომ ისინი პაზლის პრინციპით, ისე მივუსადაგოთ ერთმანეთს, რომ სურათი ისევ შეიკრას და გამთლიანდეს.

- მაგრამ ძალიან ხომ არ ვაგვიანებთ? აფხაზეთს უკვე ორ ათეულ წელზე მეტი გვაშორებს.

- წლებს არა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ იდეა თუ გვექნება, მე თუ არა, ჩემი შვილი, შვილიშვილი შეძლებს მის განხორციელებას.

„ჩემი ოცნება - ჩემი აფხაზეთი“

აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა ქალაქ ლეიდენში

ნინო გრიგოლია

ნიდერლანდების სამეფოს და რემბრანდტის მშობლიურ ქალაქ ლეიდენში, გალერეა „ზონეში“ აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა „როდის? ჩემი ოცნება - ჩემი აფხაზეთი“ გაიხსნა. გამოფენაში აფხაზეთიდან დევნილი 21-დან 80 წლამდე ასაკის 22 მხატვარი მონაწილეობდა და წარმოდგენილი ნამუშევრები მათ მიერ დანახულ სამყაროზე, ნოსტალგიაზე და მოლოდინზე მოუთხრობდა. გამოფენა ერთი კვირა გრძელდებოდა და ის თავისი სათქმელით მსოფლიოს 65 მილიონი დევნილის საერთო ტკივილსა და საკუთარ სახლებში დაბრუნების ოცნებას ეხმიანებოდა.

გამოფენის ორგანიზატორი იყო ჩვენი თანამემულე, ფონდ „არტ-ექოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი **დალი უბილავა-დე გრააფი.** მან ამ გამოფენასთან დაკავშირებით განაცხადა: „აღსანიშნავია, რომ აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების შემოქმედებაში განსაკუთრებით ძლიერ, წამყვან შემოქმედებით ხაზს „მეს“ გადარჩენის იმპულსი წარმოადგენს. სწორედ ამით ცდილობენ აფხაზეთიდან დევნილი მხატვრები კონფლიქტებით, ომებით, ტერორით სავსე დროსა და სივრცეს გასცდნენ და მრავალფეროვანი ემოციით, განწყობით და ფილოსოფიით აღბეჭდილი ხელოვნების ნიმუშები შექმნან. თითოეული მხატვრის მიერ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის ერთ სივრცეში მოქცევამ გამოფენას ორიგინალური და უნიკალური სახე შესძინა. გამოფენის მონაწილე სხვადასხვა თაობის დევნილი ხელოვანები კი დამთვალიერებლის წინაშე წარსდგნენ არა თითქოს მოსალოდნელი მძიმე თემებით, არამედ ფერადი სამყაროთი. გამოფენის მიზანიც იმის ჩვენება იყო, რომ აფხაზეთიდან დევნილი მხატვრები, მიუხედავად სიდუხჭირისა, ყოფითი პრობლემებისა, ყველაფერზე მაღლა დგანან და ცდილობენ, მათ მიერ გადმოცემული სილამაზით თავი გადაირჩინონ“.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ და სიტყვებით გამოვიდნენ: მონიკ ვან სანდიკ (ლეიდენის ვიცე-მერი), კოტე სურგულაძე (საქართველოს ელჩი ჰოლანდიაში), ჰანს ჰორბახი (ჰოლანდიის ელჩი საქართველოში), ფრიც დაიკს (ჰოლანდიის ამნესტი ინტერნაციონალის წარმომადგენელი). გამოფენას ასევე ესწრებოდნენ მაღალი რანგის საპატიო სტუმრები: ლოტე ჰაიემა (ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი), ჰეიდიმარია გურერი (ავსტრიის ელჩი ჰოლანდიაში), მუტი მურდი (ესტონეთის კონსული ჰოლანდიაში), თამარ ღვინაძე (საქართველოს კონსული ჰოლანდიაში), ისტიაქ აჰმედი (ჰოლანდიაში კუვეიტის ელჩის პირველი მოადგილე).

გამოფენის მნიშვნელობასა და მასშტაბებს ხაზს უსვამდა ის გარემოებაც, რომ მისი გახსნისთვის საგანგებოდ ჩამოვიდნენ სტუმრები ჰოლანდიის ქალაქებიდან: ამსტერდამიდან, ჰაარლემიდან, დელფტიდან, ჰაგიდან, მაასტრიხტიდან, ამერსფორტიდან, ენსხედედან, ესსენიდან, ზვოლედან. გამოფენას აქტიურად გამოეხმაურა ქ. ლეიდენის მასმედიაც.

მოგვიანებით, ფონდ „არტ-ექოს“ ხელმძღვანელი დალი უბილავა-დე გრააფი ქ. ლეიდენში გამართულ გამოფენაში მონაწილე მხატვრებს თბილისში, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში, ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში შეხვდა. მან მხატვრებს უამბო გამოფენის წარმატებებზე და განსაკუთრებით იმ სასიამოვნო ფაქტზე, რასაც ჰოლანდიელი გალერისტებიც ხაზს უსვამდნენ, რომ სულ რაღაც ერთ კვირაში ნამუშევრების 1/3 გაიყიდა.

დალი უბილავა-დე გრააფმა აფხაზეთიდან დევნილ მხატვრებს გამოფენაში მონაწილობისათვის მადლობა გადაუხადა და სერთიფიკატები და ლეიდენის გამოფენის ამსახველი ბროშურები გადასცა.

გოლგოთის გზაზე მავალი კაცი

ჯემალ შონიას ახალი პოეტური კრებულის „წაუკითხავის“ გამო

კახა ქეცბაია, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი.

პლატონის მიხედვით, „ფილოსოფოსობა სიკვდილისათვის მზადებაა“, სიკვდილი სულაც არ არის საშიში, რადგანაც მარადიულობაში გადასვლაა. პლატონის ნააზრევს თუ დავეყრდნობით, იგივე შეიძლება ითქვას პოეზიაზე.

პოეტიც წარმავალისა და დროულის მიღმა მარადიულობასა და ჭეშმარიტებას მიელტვის და ფილოსოფოსისაგან განსხვავებით მიელტვის არა აგიხსნას, არამედ განგაცდევინოს „ყოფნის ზღაპარი“. როგორც წესი, მაღალი პოეზია ასეთი იდეალების მატარებელია, რაც უდავოდ, რჩეულთა ხვედრია. სწორედ ასეთი პოეზიით გამოირჩევა ჯემალ შონია. მისი ლექსები გარეგნულად ძალიან უბრალო, ადამიანური და ახლობელია, მაგრამ შინაგანად ღრმა ფილოსოფიური აზრების მატარებელი.

დიადი და მარადიული იდეებისა და იდეალების პოეტურ ენაზე გადმოტანა მარტივი საქმე როდია, მაგრამ პოეტი ჯემალ შონია ამას ბრწყინვალედ ახერხებს და რეალურ ფერებში განგაცდევინებს იმ ტკივილსა თუ სიხარულს, რომელიც მის ლექსებშია დავანებული. პოეტს იმდენად ღრმად შეჰყავხარ თავის არაჩვეულებრივ პოეტურ სამყაროში, რომ მისგან მიღებული შთაბეჭდილებები მთელი ცხოვრება გაგყვება.



ცხოვრებასა და პოეზიაში ჯემალ შონიას გზა გოლგოთაზე სიარულს წააგავს. ეროვნული მოძრაობის პერიპეტიები, აფხაზეთიდან დევნილობა და კიდევ ბევრი ტკივილი, რომელიც მან ღირესეულად გამოიარა, მის პოეტურ დისკურსში იჩენს თავს. იგი გოლგოთის გზაზე მავალი კაცია, პოეზიისა და სიკეთისათვის ტანჯული, საზრისის მაძიებელი, სიკეთის, მშვენიერებისა და სიყვარულის მსახური, თავისუფლებისათვის მებრძოლი. ბედისწერასთან მორკინალ და ნიცშესავით გატანჯულ ქართველ პოეტთა შორის ჯემალ შონია გამორჩეული ფიგურაა, საკუთარი ხელწერით, სისადავითა და ღრმა ფილოსოფიური ნააზრევით. ამ მხრივ, ვიტყოდი, რომ ის პოეტი-ფილოსოფოსია, რომლის შემოქმედების მთავარი პრობლემა ადამიანი და ადამიანის ცხოვრების საზრისია.

ჯემალ შონიას პოეტური მედიტაციები აფხაზეთს დასტრიალებს თავს. აფხაზეთი მისი ტკივილისა და სიხარულის განუყოფელი ნაწილია. მისით სუნთქავენ და ცოცხლობენ სვეტიცხოვლისადმი თუ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები. საოცრად არის აღწერილი და გადმოცემული მის პოეზიაში აფხაზეთის ბუნება, ლაჟვარდოვანი ცა, ზღვა და ბაღ-ვენახები; მართალია, პოეტს იქ დატრიალებული ომი და უბედურება არ ავიწყდება, მაგრამ მომავალს იმედით უყურებს და გაშმაგებით ცდილობს ტრაგიკული ყოფიერების მარწუხებისაგან თავის დაღწევას.

ჩამავალ მზეში შეცურდა გემი

ბევრი ჟამი და იმედი გაცდა,
გაცდა მრავალი კალო და კევრი
და საოცნებო ნაპირის ნაცვლად
ჩამავალ მზეში შეცურდა გემი.

არის ამიტომ მზის სიკაშკაშე
თვალმიუდგამი, მზერისთვის მწველი,
იქ, ცეცხლოვანი აფრებით სავსე
ზღვაში სურვილი ბრიალებს ჩვენი.

შორი ყოფილა ის ბოლო განცდა,
აღსრულდა მანამ სხვა განაჩენი
და სოცნებო ნაპირის ნაცვლად
ჩამავალ მზეში შეცურდა გემი...

შეხვედრა

თავის სოფელში დიდი ხნის მერე
ჩასული კაცი ერთხელ ტყეში
სეირნობისას
უცებ წააწყდა საკუთრ თავს -
ციცქნას, მაშინდელს,
ბავშვობისას რომ ამ ბილიკზე
ნიავს მისდევდა...
და შეაჩერა კაცმა ბავშვი...
კაცს უხაროდა... ო, უხაროდა
მას საკუთარ ბავშვობასთან ასე შეხვედრა!
მიუალერსა, მოეფერა, მაგრამ პატარამ
ტირილი მორთო, უცხო ძია რომ დაინახა...
და კაცმა იგრძნო, თითქოს ხელიც კი ჰკრა
იმ ბავშვმა,
ახლა შინისკენ რომ მირბოდა შეშინებული...
მერე თვითონაც შინ მობრუნდა გულდაწყვეტილი
და ნახა, - იმ ბავშვს
დედის კალთაზე ჩამოედო ქოჩორა თავი
და აყუჩებდა მოფერება დედის ხელების...
კაცი კი იდგა მარტოდმარტო,
დედით ობოლი
და ბავშვისაკენ გაქცეული თვალებიდან
სდიოდა ცრემლი...

ცარიელია როცა თემშარა

ხნულში მარცვალი ვისთვის ჩავყარო,
უკანასკნელმა მიწამ შემშალა...
ცარიელია თითქოს სამყარო,
ცარიელია როცა თემშარა.

ისევ ბალახის დუმილს მოველი,
ფეხის ხმით სმენა კვლავ დამემშა რა...
ცარიელია მთელი სოფელი,
ცარიელია როცა თემშარა.

ამ სიჩუმეში სულიც მადლიან
ცათა ფერს ვეღარ ენათესავა...
თითქოს მიწაშიც არვინ მარხია,
ცარიელია როცა თემშარა.

ვითარცა ქუჯიმ

გავცქერი შორით ბედიის მინდორს,
ძეძვთა დუმილი ფიქრებს დახანძრავს...
რა ვქნა, თუ ჟამი კვლავაც არ მინდობს,
სხვა ვინღა მიქცევს ტაძრად ნატაძრალს?

გამომიხტება წარჩესთან სუსხი,
ნატვრას აყოლილს მყისვე დამცოფავს;
თუკი ოცნებებს წყალი არ ვუსხი,
სოფლად ვინ მიქცევს ამდენ ნასოფლარს?

სათანჯოს ქედის ბალახზე მკრთომი
ძველი კურცხალი ხვალაც დამსიცხავს;
მითხარი, თუ არ მოვიგე ომი,
ციხედ ვინ მიქცევს ისევ ნაციხარს?

ოლუშის მთიდან ღრუბელი მოდის,
ცოტაც და სივრცეს ზღვამდე დატალღავს...
დრო სანატრელი ვამეფო როდის,
ტახტად ვინ მიქცევს კვლავად ნატახტარს?

მოწყენილ ზეცას აწყდება მზერა
და სული უკვე თითქოს მას ახლავს...
თუ თვითონ მე არ დავანთე კერა,
სახლად ვინ მიქცევს ამდენ ნასახლარს?

ეჰ, ბოროტების შემასვეს გესლი
და ცოცხალს მიწა ზედ მომაყარეს...
მაგრამ თუ მე არ ვახარე თესლი,
ყანად ვინ მიქცევს ისევ ნაყანევს?..

და ესმით გულის ძახილი ურჩი
ფიქრებს, ტყვიებში გადარჩენილებს:
მეც ბედიაში, ვითარცა ქუჯიმ,
უნდა ვიპოვო ბედი ჩემივე!

უფალთან წასვლა

გენო კალნდიას ხსოვნას

აწ უიმისოდ მოვა მარტი,
დარდობს მიტომაც...
წლებს ფოთლებივით სუსხიანი
ქარი უფანტავს...
საგალობლები უფლისათვის
ჩვენ დაგვიტოვა,
თვითონ კი უცებ მოისურვა
წასვლა უფალთან.

დახურავს წიგნებს შეუვალი
ურჩი წერტილი...
ლოცვის ნათელში სანთელივით
ჩვენაც მოვლბებით...
თურმე ჰქონია ღმერთთან ხლება
გადაწყვეტილი
და მოიქარგა სავალი გზა
საგალობლებით.

ნისლად გამფინეს

რა ახლოს იყო ის, რაც ახლა
შორზე შორია,
მზერას ვერ ვუწვდენ გუშინ ასე
ნაცნობ ნაპირებს...
იმათ გაჰყურებს ჩემთან ერთად
ჯვარი, ჩხორია...
ეჰ, ოცნებებმა გაღმა მხარეს
ნისლად გამფინეს...

იმ ოცნებებმა, დიახ, ნისლად
წამაფარფატეს,
მხარს ამიბამენ ქარიანი
ლურჯი წვიმები...
და უკვე ვხედავ: მონატრებულ,
ძვირფას საფლავებს
მსუბუქად, რიდით, მოკრძალებით
რომ ვეფინები...

წაუკითხავი

კაცი ჭიშკარს რომ მოადგება,
რომ დამიძახებს
და კეთილ ამბებს შემატყობინებს, -
ის მენატრება...

მერე სახლში რომ შემოვიყვან,
ჭიქას ვუვსებ
და გავიხსენებთ უამრავ ვინმეს, -
ის მენატრება...

აღარც კაცია, არც კეთილი
ამბები მესმის,
აღარც სახლი მაქვს, აღარც ჭიშკარი...
მომჩერებია ჩემნაირად
დევნილი ლექსი,
ისიც ჩემსავით წაუკითხავი.

დედამიწიდან გამოსახლება

ნატყვიარ კართან ტანკი აღრინდა
და გაეკიდა ნაცნობ ასახვევს...
ეჰ, განა მხოლოდ ჩემი სახლიდან?
დედამიწიდან გამომასახლეს.

მეტყვიან: ხომ გაქვს დღეს დანარჩენი
საქართველო, ვით რწმენა, ნუგეში?..
ეჰ, სადაც იშვა ჩემი გამჩენი,
სიკვდილი მინდა იმავ უბეში...

დახლეჩილ მამულს რა სვე დაქარგავს,
რომელი ნატვრა როგორ ახდება?..
ჰქვია მშობელი კერის დაკარგვას
დედამიწიდან გამოსახლება.

სივრცეში, სადაც საინტერესო იდეები თავს კარგად გრძნობს

მაია შონია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს არტ გალერეაში სამხატვრო აკადემიის სამრეწველო დიზაინის მიმართულების სადიპლომო ნაშრომების დაცვა შედგა. კომისიის წევრებთან და სხვა დამსწრე პირებთან ერთად დაცვას დაესწრნენ სამხატვრო აკადემიის რექტორი გია გუგუშვილი, კომისიის საპატიო წევრი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, მინისტრის მოადგილე როლანდ ნიჟარაძე. დაცვას უძღვებოდა ჯუმბერ ბეჭვაია, სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის სამრეწველო დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.

დაცვაზე წარმოდგენილი იყო ბაკალავრების - ლაშა ლაგვილავას, სალომე ბათლიძის, ეთერ ლომიძის, თორნიკე თოიძის, თამარ მარანელის, გიორგი გავარდაშვილის, მარიამ ამაშუკელის და მაგისტრანტების - დავით ვარდანიძის და თამაზ არუნაშვილის ნაშრომები. თითოეულმა მათგანმა წარმატებით დაიცვა საკუთარი ნაშრომი და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა** აღფრთოვანება გამოთქვა წარმოდგენილი ნაშრომების მაღალი კვალიფიკაციის გამო და აღნიშნა: - უპირველესად, დიდი მადლობა, რომ მომიწვიეთ და მომეცით შესაძლებლობა, ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდისთვის მომესმინა და მათ საინტერესო იდეებს გავცნობოდი. ზოგჯერ მედარდება ხოლმე, როგორი ახალგაზრდობის ხელში იქნება ხვალინდელი საქართველოს ბედი. აქ კი ვნახე სწორედ ისეთი ახალგაზრდები, როგორზეც ვოცნებობ და მიმაჩნია, რომ საქართველოს ღირსეული მემკვიდრეები იქნებიან.

სამხატვრო აკადემიის რექტორმა **გია გუგუშვილმა** თავის მხრივ მადლობა გადაუხადა დიმიტრი ჯაიანს მასპინძლობისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის. თქვა, რომ აქ ზუსტად ის სივრცეა, სადაც საინტერესო იდეები, დიზაინი კარგად გრძნობს თავს. და რომ „დაცვის პროცესში ისეთი სახელოვნებო, თბილი ურთიერთობა შეიქმნა, რომ დისტანცირება არ იგრძნობოდა“. კარგია, რომ სტუდენტებმა ეს ძალიან საინტერესო სივრცე გაიცნეს და სამომავლო ურთიერთობისთვის მოინიშნეს. გია გუგუშვილმა ახალგაზრდებს საბაკალავრო და სამაგისტრო დიპლომების წარმატებით დაცვა მოულოცა და დასძინა: - მათ წინ დიდი ასპარეზი ელოდებათ, თავიანთი მიმართულების გარდა, კიდევ უამრავი თვალსაწიერი აქვთ გადაშლილი.

წარმოდგენილ ნაშრომებზე უფრო ვრცელი კომენტარი ვთხოვეთ **ჯუმბერ ბეჭვაიას, სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის სამრეწველო დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს:**

- სამრეწველო დიზაინის მიმართულების სტუდენტების სადიპლომო ნაშრომების სახით ძალიან საინტერესო და აქტუალური თემები და იდეები იყო წარმოდგენილი. როგორ შეირჩა ისინი?

- თითოეული თემა ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით შეირჩა და დამუშავდა. სამრეწველო დიზაინი უაღრესად ფართო პროფილის სფერო. მასში შედის ყველაფრის დიზაინი - ჭიკარტით დაწყებული და იახტით დამთავრებული. კალმისტარი, დანა-ჩანგალი, ვერტმფრენი და ავტომობილიც კი შეიძლება სამრეწველო დიზაინის სფეროში მოვიაზროთ. ჩვენ ვცდილობთ, სტუდენტებმა ამ დიაპაზონის გათვალისწინებით მოამზადონ თემები. ვცდილობთ, იდეები იყოს ორიგინალური და კრეატიული და არც ერთი მათგანი არ იყოს ინტერნეტიდან აღებული. ინტერნეტის იგნორირება სისულელეა. ამ ოკეანეზე უარი რატომ უნდა თქვა. მაგრამ ეს არის შთაგონების, ინსპირაციის წყარო, რომელიც შენ უნდა განავითარო. მაგალითად, თორნიკე თოიძის ელექტროველოსიპედში თვლის არაცენტრული დაკიდება ან არაპნევმატური საბურავი ექსპერიმენტის დონეზე უკვე არსებობს.

- რამდენად წავიდნენ წინ თქვენი კურსდამთავრებულები თუნდაც ამ ნაშრომების შექმნით? ფაქტობრივად, ეს ხომ მათი რამდენიმეწლიანი სწავლისა და შრომის შედეგია.

- ამ ნამუშევრებით ხდება იმის დამტკიცება, რომ დიპლომირებული პროფესიონალი ხარ. მაგისტრანტები გამორჩეულები იყვნენ, რადგან ორივემ შეასრულა არა იდეა, კონცეპტი, არამედ რეალური პროექტი. კომპანია „ნოვა ენერჯიმ“ მოგვმართა შეკვეთით, რომ გადახდის აპარატის ახალი დიზაინი შეგვექმნა. მე თაზო არუნაშვილს შევთავაზე, რომ ეს იქნებოდა მისი სამაგისტრო თემა. ამ კომპანიასთან მუშაობა იყო ერთი სიამოვნება. არაჩვეულებრივი შედეგი დადგა. სექტემბრიდან უკვე აპირებენ უცხოურ ფირმას ამ დიზაინის გადახდის აპარატები შეუკვეთონ. დავით ვარდანიძის იდეა კიდევ უფრო რთული იყო. ის ტექნოპარკის თანამშრომელია და იქ ჰყავს თანამოაზრეები, რომლებთან ერთადაც გადაწყვეტილი აქვს, გააკეთოს ელექტრომობილი, რომელიც კვადროციკლსა და ავტომობილს შორის ნიშას დაიკავებს.

- სტუდენტებს რომ ამგვარი პროექტების განხორციელების ამბიცია უჩნდებათ მეტყველებს იმაზე, რომ სამხატვრო აკადემიაში სამრეწველო დიზაინის მიმართულება საკმაოდ წარმატებულია.

- ეს ფაკულტეტი ერთი წლით ჩემზე უფროსია, მაგრამ ჩვენი დამსახურება ისაა, რომ სკოლა შევინარჩუნეთ და აღმოსავლეთ ევროპის დონეზე მაინც ვმუშაობთ. პრობლემა ბაზრის მოთხოვნის არქონაა.

- საინტერესოა, რას გულისხმობს ნაშრომი „რეკლამა მტკვარზე“?

- ეს გულისხმობს მტკვრის ზედაპირზე მანათობელი პიქსელით რეკლამის განთავსებას. ჩვენს პროექტში მტკვრის გარკვეულ პერიმეტრზე გამოსახულია წარწერა „თბილისი“ ქართული და ლათინური შრიფტით. მასშტაბები საკმაოდ დიდია - მეტეხიდან ბარათაშვილის ხიდამდე დაიწერება, ოღონდ ისე, რომ ასოებს შორის კატარღამ იმოძრაოს. შეიძლება თბილისის ნაცვლად სხვა რამეც ჩავწეროთ და რომელიმე ფირმამ გაიკეთოს რეკლამა. ეს ადგილი ჩანს არა მხოლოდ ვერტმფრენიდან ან დრონიდან, არამედ საბაგირო გზიდან, ნარიყალადან, პრეზიდენტის სასახლიდან, ღვინის აღმართიდან, გუგლის რუკაზე.

- ძალიან საინტერესო და აქტუალური ჩანს სადიპლომო ნაშრომი „პარკის ატრიბუტი“.

- ეთერ ლომიძის ეს იდეა ასევე ძალიან პრაქტიკული და საინტერესოა. ჩვენ მოვიძიეთ და მსოფლიოში ვერსად ვიპოვეთ პარკის სკამი, რომელიც გადახურულია. წვიმის დროს ეს ძალიან აქტუალურია. ჩვენ არ წავედით პრიმიტიული გზით - აგვეღო სკამი და გადაგვეხურა. შევქმენით პრინციპულად განსხვავებული დიზაინი. მთელი სკამი არის გამჭვირვალე და ერთიანად ჩამოსხმული - არ არის აწყობილი ცალკეული დეტალებისგან. ძალიან მარტივი, მაგრამ პრაქტიკულია.

- ზოგადად როგორ შეაფასებთ წლევანდელი სადიპლომო ნაშრომების დაცვას?

- ყველა გვილოცავს ამ წარმატებულ დაცვას, მაგრამ ეს არის ზედაპირი, რომელიც ძალიან ბევრ დაძაბულ დღეზე, გათენებულ ღამეზე, დამწვარ კომპიუტერსა და დაკარგულ ფაილებზე დგას. დაცვა იყო წარმატებული და ამას კომისიის წევრების, სამხატვრო აკადემიის რექტორის, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრისა და სხვების აზრები და რეაქციებიც ადასტურებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კომისია აცხადებს კ ო ნ კ უ რ ს ს გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში: ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება და პუბლიცისტიკა.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია ენიჭება ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებმაც მხატვრული, პუბლიცისტური და სხვა ღირებულებების გამო, საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვეს, გამსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის მაღალი იდეალებით და წარმოადგენს შენაძენს ქართული და აფხაზური ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს ოთხისა, თითოეული 3000 ლარის ოდენობით.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში კანდიდატთა წარდგენის პირობები და წესი:

ა) გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგებში;

ბ) პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს ფიზიკური პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად;

გ) პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი;

დ) საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოები (ნაშრომი) ძირითადად უნდა მოიცავდეს აფხაზეთის თემატიკის და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პოპულარიზაციას;

ე) საკონკურსო მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ან აფხაზურ ენებზე, ასევე, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს უცხო ენაზე ქართული თარგმანის თანხლებით (სრული თარგმანი ან ვრცელი რეფერატი ან ანოტაცია);

ვ) ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების წარდგენა უნდა მოხდეს დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ. ხელოვნების სხვადასხვა დარგში შექმნილი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენა შეიძლება მას შემდეგ, რაც მათ სრულად გაეცნობა საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, კინოთეატრებში, მასმედიის საშუალებებით;

ზ) დაუშვებელია პრემიის მოსაპოვებლად კომისიის მიერ ერთხელ უკვე უარყოფილი ნაწარმოების (ნაშრომის) ხელმეორედ წარდგენა. პრემიის მოსაპოვებლად ავტორის განმეორებით წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ახალი ნაწარმოებით (ნაშრომით);

თ) ავტორთა ჯგუფისათვის პრემიის მინიჭებისას, პრემია ავტორთა შორის თანაბრად ნაწილდება;

ი) პირს გარდაცვალების შემდეგ პრემია შეიძლება მიენიჭოს იმ შემთხვევაში, თუ იგი პრემიაზე წარდგენილი იყო გარდაცვალებამდე ან გარადცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი ახალი, მანამდე უცნობი ნაწარმოები (ნაშრომი).

კონკურსზე მონაწილეობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. წარდგინება, ანუ ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათება იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე წარდგინება. დოკუმენტს ხელს აწერს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

2. საკონკურსო ნაწარმოების, ნაშრომის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად.

3. კანდიდატის ბიოგრაფია (CV).

4. ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში შექმნილი ნაწაროებები 9 ეგზემპლარად (აუდიო, ვიდეო ჩანაწერები, მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურა 9 ეგზემპლარად). წარმოდგენილი ნაშრომები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

5. კანდიდატის ორი ფოტოსურათი (6X9 სმ).

საკონკურსო განცხადებებისა და თანდართული მასალების მიღების ვადები

1. საკონკურსო განცხადებები და მასალები მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში 2017 წლის 30 ივნისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

2. კონკურსის საბოლოო შედეგები და პრემიის ლაურეატთა სია გამოქვეყნდება 2017 წლის 23 ნოემბერს.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
საქართველო - თბილისი 0102, უზნაძის ქ. №68,
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო,
საკონტაქტო პირი: ლიანა ხურცილავა, ეკატერინა გადილია
ტელ: 599 85 54 41; 599 24 62 18.

ნინო გრიგოლია

ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მიმდებარე ტერიტორია ტურისტული ზონა ხდება. აქ უკვე გაიმართა მსოფლიო დონის ატრაქციის პროექტის კონცეფციის პრეზენტაცია. ატრაქცია ლათინური სიტყვაა და მიზიდულობას ნიშნავს, ტურიზმში მას მიმზიდველი ობიექტის მნიშვნელობით იყენებენ. ქართულში კი ყველაზე მეტად შეესაბამება სიტყვა – ღირსშესანიშნაობა. ენგურჰესის თაღოვან კაშხალს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2015 წლის 4 სექტემბრიდან ეროვნული კატეგორიის ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

კონცეფციის მიხედვით, ენგურჰესის კაშხლის ტურისტული ინფრასტრუქტურა მოიცავს შემეცნებით და აღმოჩენათა ცენტრს, სამუზეუმო-საინფორმაციო და ღია საკონცერტო სივრცეს, საბაგირო გზას, მდინარე ენგურზე გადასახედებს, სანაოსნო ინფრასტრუქტურას, მსოფლიოში არსებულ ყველაზე მაღალ ლიფტს კაშხალზე (280 მ) და ექსტრემის კომპონენტებს. კონცეფციის თანახმად, კაშხლის გამოყენება ასევე შესაძლებელი იქნება სხვადასხვა საინსტალაციო-წარმოსახვითი ღონისძიებისთვის. „ენგურჰესზე“ ტურისტული ინფრასტრუქტურა 157 ჰექტარზე გაიშლება.

ენგურჰესის კაშხლის მსოფლიო დონის ატრაქციის პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი,** რომელმაც განაცხადა, რომ ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის ატრაქციის ანალოგი მსოფლიოში მხოლოდ აშშ-ში, კალიფორნიის შტატში არსებობს და ეს არის ჰუვერის ჰიდროელექტროსადგური. პრემიერ-მინისტრისავე აზრით, ის გარემოება, რომ ენგურჰესი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ზემო სვანეთის (მაღალმთიანი სოფელი უშგული) უმნიშვნელოვანეს საგზაო არტერიაზე მდებარეობს, იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ახალი ტურისტული ზონა რეგიონული მნიშვნელობის ტურისტულ ცენტრად, შესაბამისად, საქართველოს სავიზიტო ბარათად იქცევა და მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს ტურისტული ზონა წელიწადში 400 ათასამდე ტურისტს მიიღებს.

გიორგი კვირიკაშვილი: „ამ პროექტის ხორცშესხმით გვეძლევა საშუალება, ჩვენი ინდუსტრიული მემკვიდრეობა ღირსშესანიშნაობად ვაქციოთ. საბედნიეროდ, ჩვენ გვაქვს ყველა თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული, უნიკალური „ენგურჰესის“ ნაგებობა, რომლის თაღოვანი კაშხალი სიდიდით მეორეა მსოფლიოში და, შესაბამისად, ნამდვილად იმსახურებს ინდუსტრიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს...

დღეს, როდესაც ჩვენ ასე ახლოს ვდგავართ აფხაზეთთან, კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო ჩვენს აფხაზ ძმებთან უდიდესი პატივისცემა და სიყვარული. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ჩვენთვის სულერთი არ არის, როგორ ცხოვრობენ ჩვენი აფხაზი დები და ძმები სოხუმსა და გაგრაში, გალსა და ოჩამჩირეში, ტყვარჩელსა და გუდაუთაში, ჩვენ გვინდა გავუწოდოთ მათ მეგობრობის ხელი და ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ის მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც შეიქმნა და მომავალ თაობებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუტოვოთ.

ენგურჰესი შეიძლება ნიმუშადაც გამოვიყენოთ, თუ როგორ შეიძლება ომით გახლეჩილი ურთიერთობები საერთო ინტერესის გარშემო თანამშრომლობით შევცვალოთ. იმედი მაქვს რომ ახალი ტურისტული ცენტრი გახდება ჩვენი ახალგაზრდების, ჩვენი შვილების შეხვედრის ადგილი. მჯერა, რომ დადგება დრო, როცა ქართველებსა და აფხაზებს ისევ გაგვაერთიანებს საერთო ინტერესები და საერთო მიზანი“...

ენგურჰესის კაშხლის ტურისტული ზონის პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდა ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი **მიხეილ გიორგაძე.** მან აღნიშნა:

მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს და სულ უფრო აქტუალური არის ინდუსტრიული მემკვიდრეობა. ერთი წლის წინათ, ენგურჰესის თაღოვან კაშხალს ჩვენ მივანიჭეთ ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი, რამაც მას გზა გაუხსნა ერთი მხრივ იუნესკო-ს უკვე მსოფლიო ინდუსტრიული მემკვიდრეობის ნომინაციის მომზადებისკენ და მეორე მხრივ, თავად ძეგლი გადაიყვანა განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე.

ეს არის ერთ-ერთი უპრეცედენტოდ მასშტაბური პროექტი, რომლის მიხედვითაც ენგურჰესი იქნება ქვეყანაში პირველი ინდუსტრიული ძეგლი. გარდა ამ ყველაფრისა, ენგურჰესი არის სიმბოლო ნდობისა და თანამშრომლობისა, რადგან აქ წლების განმავლობაში ქართველები და აფხაზები ერთად მუშაობენ და თავიანთ ურთიერთობას ნდობასა და თანამაშრობლობაზე აგებენ. დარწმუნებული ვარ, ასეთ ნდობაზე აგებულ ხიდს, ვერც ერთი ძალა ვერ დაანგრევს“, - დასძინა მიხეილ გიორგაძემ.

ხელოვანი გამორჩეული ხედვით და ხელწერით

მაია შონია

იშვიათად თუ აქვს ვინმეს იმის ფუფუნება, რომ 60 წლის იუბილეზე საკუთარ თავს პერსონალური გამოფენა მიუძღვნას. ზურაბ ჭედია იმ გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულთა შორის აღმოჩნდა, ვისაც ასეთი შესაძლებლობა მიეცა. 20 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზმა ზურაბ ჭედიას საიუბილეო პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა.

მხატვარმა ამ გამოფენით მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა შეაჯამა. აფხაზეთის და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრს მეგობრების, მხატვრების აზრიც აინტერესებდა. ამის შემდეგ ცხოვრებისა და შემოქმედების ახალ ეტაპს იწყებს. ზურაბ ჭედიამ გამოფენაზე მხოლოდ დევნილობის პერიოდში შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინა, რადგან სოხუმიდან არც ერთი ნახატი არ გადმოყოლია. იქ რაც იყო, მხოლოდ მეხსიერებას შემორჩა, თუმცა მხატვრად სოხუმში ჩამოყალიბდა და პირველი შემოქმედებითი წარმატებებიც აფხაზეთს უკავშირდება. ის ოჯახში მეორე თაობის მხატვარია. მამამისიც მხატვარი იყო.

სოხუმის დაცემის შემდეგ სვანეთის გზით გადმოტანილი საღებავებითა და ტილოთი გააგრძელა თბილისში ხატვა. თავიდან მუქი ფერები ჭარბობდა, თემატიკაც მძიმე იყო. აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, მონატრება და ნოსტალგია ხატვამ გადაატანინა. წლების შემდეგ ფერები უფრო ნათელი გახდა, მაგრამ თემატიკა უცვლელი დარჩა - აფხაზეთი მომავალშიც მისი შემოქმედების მთავარი თემა იქნება. მხატვარი ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო მისი როგორც ზეთში, ისე გუაშში და ფანქარში შესრულებული ტილოები და გრაფიკა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ზურაბ ჭედიამ მეექვსე პერსონალური გამოფენა გამართა. მისი ჯგუფური გამოფენების დათვლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მათ შორისაა ესპანეთში, თურქეთში, ჰოლანდიასა და მოსკოვში წარმოდგენილი ექსპოზიციები.

ზურაბ ჭედია: - 60 წელი მისრულდება და ერთგვარი საანგარიშო გამოფენაა. რაც აქ წარმოვადგინე, მხოლოდ ნაწილია იმ ნამუშევრებისა, რომელიც დევნილობის პერიოდში შევქმენი. სივრცე მეტის გამოფენის საშუალებას არ მაძლევდა. ეს არის ის ნაწილი, რომელიც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. სიმბოლურად 60 ნამუშევარის გამოფენა მინდოდა, მაგრამ აქ მეტია წარმოდგენილი.

- როგორც ნამუშევრებიდან ჩანს, თქვენი მხატვრობის თემატიკა მრავალფეროვანია?

- დიახ, თემატიკა განსხვავებულია. ექსპოზიციაზე წარმოვადგინე სერიები: „ზღვა და მირაჟები“, „ნოსტალგია“, „სოხუმის ქუჩები“, „მონატრება“, ნატურმორტები. ამ გამოფენით ჩემი მეგობრებისთვის, მხატვრებისთვის მინდოდა მეჩვენებინა, თბილისში ამდენი წლის განმავლობაში რას ვქმნიდი. მხატვრად სოხუმში ჩამოვყალიბდი, მაგრამ ჩემი შემოქმედება თბილისში გაგრძელდა. ვფიქრობ, ჩემი ამქვეყნად მოვლინების მიზანი მხატვრობაა და ამან ბევრ რამეში მიშველა. მხატვრობამ გადამატანინა უმძიმესი წლები.

სწორედ ნახატებში გამოვხატავდი მთელ ჩემს ემოციებს, ნოსტალგიას, ტკივილს, მწუხარებას. ნახატში გადმოვეცი 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს ნანახი და განცდილი. ერთ-ერთ ნახატში აღბეჭდილია ჩემი სახლი. სახლის წინ ძაღლი დგას და მელოდება. სამწუხაროდ, რეალურად ეს ის ძაღლია, რომელიც წამოსვლის წინ კარებთან იდგა, მელოდა და იქ დამრჩა. ნახატსაც სიმბოლურად „მოლოდინი“ დავარქვი. ძაღლი ერთგულების სიმბოლოა - ის ერთგულად ელოდება პატრონის დაბრუნებას. „ზღვა და მირაჟებში“ ასახულია ზღვასთან დაკავშირებული ემოციები. თავიდან უფრო მუქ ფერებში ვხატავდი, ეტყობა, განწყობიდან გამომდინარე. შემდეგ უკვე ნათელი პერიოდი დაიწყო, მაგრამ თემატიკა ისევ სოხუმს უკავშირდება. მაინც ზღვისკენ, ცისფერისა და მეწამული ფერებისკენ მიდის ჩემი ემოცია და აზროვნება.

- მომავალშიც აფხაზეთის თემატიკას გააგრძელებთ?

- აფხაზეთს თავიდან ვერ ამოშლი. შიგადაშიგ სხვა თემებიც გაერევა, მაგრამ ძირითადი მამოძრავებელი მაინც აფხაზეთი იქნება.

P.S. ამ დღეებში ზურაბ ჭედიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიმართა ბათუმშიც, ხელოვნების მუზეუმში. გამოფენამ ბათუმელი დამთვალიერებლებისა და ხელოვნების მოყვარულების დიდი მოწონება დაიმსახურა.



რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გაფილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი